გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№46 (941) 7 - 8 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ნაციონალებმა რეგიონებში სრული მობილიზაცია გამოაცხადეს

გვ. 3

თითო რაიონიდან 250-დან 500 კაცამდე ადამიანის ჩაყვანა იგეგმება. მისივე თქმით, ეს ადამიანები საპატრიარქოს მიერ დაანონსებული აქციის წევრებს პროვოკაციაზე მარტივად წამოაგებენ, ვიღაც მერე დროშის ტარს მოიქნევს და პირველი ნიშანი იმისა, რომ თბილისური მაიდანი იწყება, საბურავების დაწვა იქნება — რეგიონებიდან თითოეულ ორგანიზაციას თბილისში 20 საბურავის ჩატანა ევალება.

კანადელი მეცნიერების სენსაციური აღმოჩენა

კიბოს იაფფასიანი წამალი ამარცხებს

გვ. 7



რატომ არ ინტერესდებიან მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები ნივთიერებათა ცვლის დარღვევის სანინააღმდეგო პრეპარატ „დიქლორაცეტატით“, რომელიც კიბოს უჯრედებსაც ამარცხებს

სანდრო ბრეგაძე

გვ. 5

„ეკლესიას კიტოვანის მსგავსი მოღალატეები თავის დროზე რომ გაენეიტრალებინა, ქართველების ტანჯვა-წამება დღემდე აღარ გაგრძელდებოდა!“

„არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს, კეთილი ინებოს კომპანიამ და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედეთ კანონის შესაბამისად!“

ირაკლი ღარიბაშვილი რუსთაველი მძღოლების პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს

გვ. 6

„რუსთავი-2“-მა ხელისუფლებას ღია ომი გამოუცხადა!

ვინ გააკეთა ფარული ჩანაწერები ნიკა გვარამიასა და ნინო შუბლაძის სამუშაო კაბინეტებში

გვ. 2

დაზარალებული ბიზნესმენები და ვენდეტა ქართულად

ნარკოტიკების ჩადებით ბიზნესის წართმევის სქემის დეტალები — კოდუებისა და გიგი უგულავას ინტერესები „ტიფლის დეველოპმენტში“

ვინ იქნება შემდეგი

გვ. 3

„რუსთავი-2“-მა ხელისუფლებას ღია ომი გამოუცხადა!

ვინ გააკეთა ფარული ჩანაწერები ნიკა გვარამიასა და ნინო შუბლაძის სამუშაო კაბინეტებში

„რუსთავი-2“-ში პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი შევიდა. გამოძიებამ, კანონის შესაბამისად, უნდა დაადგინოს, ვინ გააკეთა ფარული ჩანაწერები ნიკა გვარამიასა და ნინო შუბლაძის სამუშაო კაბინეტში.

ვინ არის კონფედენციალური წყარო, რომელმაც შსს-დან ინფორმაცია გამოიტანა და არსებობს თუ არა კიდევ სხვა ჩანაწერები. ალბათ, გამოძიებას იმის დადგენაც მოუწევს, არის თუ არა ნიკა გვარამიას მიერ 6 მაისს გაკეთებული განცხადება, ორიოდე კვირის წინ, არასამთავრობოების მიერ „ეს შენ გეხებას“ კონტექსტში აგორებული კამპანიის ლოგიკური გაგრძელება. რამდენად არის ამ პროცესის ნაწილი ნაციონალების მიერ დაანონსებული „მაიდანი“, საინფორმაციო საშუალებებით გაპიარებული, ხოლო „რუსთავი-2“-ის მიერ უფასოდ გაშვებული კლიპი „ისევ გვისმენენ“, რომელზეც პრემიერ ღარიბაშვილს საკმაოდ მკაცრი საჯარო რეპლიკა ჰქონდა და რასაც არასამთავრობოების მხრიდან ალექსანდრე ჭიკაიძის დაუყოვნებლივ გადაყენების მოთხოვნა მოჰყვა?

„ვერსია“ რამდენიმე დღის წინ ექსკლუზიურად ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ნაციონალური მოძრაობა ღია ბრძოლას იწყებს, რომ 17 მაისამდე ისინი მედიასაშუალებებით შეეცდებიან ფარული ჩანაწერების თემის გამოყენებას (საუბარი იყო დათა ახალაიას ხელთ არსებულ ფარულ ჩანაწერზე) და ამის ფონზე სკანდალის აგორებას, რაშიც არასამთავრობოების ნაწილს გამოიყენებდნენ... „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ამას უნდა მოჰყვეს დესტაბილიზაცია ქვეყანაში და ქართული მაიდანი...

გამოძიების დასრულებამდე გონივრული ეჭვების საფუძველზე ჩნდება ორი ვერსია — ან „რუსთავი-2“ ჩართულია ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებულ პოლიტიკურ თამაშში და ხელისუფლების წინააღმდეგ ღია კონფრონტაციას იწყებს ანდა „რუსთავი 2“ ნაციონალების (ანდა მესამე ძალის) პროვოკაციის ხაფანგზე წამოეგო.

ასეა თუ ისე, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას მოუწევს მის ხელთ არსებული სრული ჩანაწერების გამოძიებისთვის გადაცემა და იმ კონფიდენციალური წყაროს დასახელებაც, რომელმაც ინფორმაცია გამოიტანა (თუ შსს-ს თანამშრომელია მასაც კანონის წინაშე პასუხისგება მოუწევს). ასევე უნდა დადგინდეს, როდინდელია „ჟუჩოკებისა“ და კამერების კვალი, როდისაა გაკეთებული ჩანაწერები და დასახელდეს უწყება ან პიროვნება, ვისი დავალებითაც ეს უკანონობა ხდებოდა. სხვა შემთხვევაში ჩნდება უამრავი კითხვა და შსს-ს ყოველთვის ექნება უფლება განაცხადოს, რომ ეს ჩანაწერები პროვოკაციის მიზნით თუნდაც თავად „რუსთავი 2-“მა „გააკეთა“?!

სხვათა შორის, სწორედ ამ ვარაუდს იზიარებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, რომელიც აცხადებს: **„გამოძიებამ უნდა გამოავლინოს, მართლა იყო თუ არა ფარული მოსმენა. მაგალითად, მე შემიძლია, რაღაც აპარატურით ვინმესთან საკუთარი ურთიერთობის ამსახველი სურათი ან ვიდეო გადავიღო, შემდეგ მოვიწვიო პრესკონფერენცია, წარმოვადგინო ვიდეო და ვთქვა, რომ „აი, ნახეთ, ფარულ მიყურადებას ახორციელებენ“. ასეთი რამ თეორიულად გამორიცხული არ არის. გამოძიებამ უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა ფარული მიყურადება. თუ ფარული მიყურადება არ იყო და ესაა ცილისწამება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, მაშინ პროცესი ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ფარული მიყურადება იყო, ამის შემდეგ უნდა გაირკვეს, ეს მიყურადება იყო კანონიერი თუ უკანონო. უნდა ინახოს, ხომ არ არსებობს სასამართლო განჩინება, რომლითაც გაიცა ნებართვა ნიკა გვარამიასა და ნინო შუბლაძის მიყურადების თაობაზე. თუ ასეთი ნებართვა არსებობდა, მაშინ მიყურადება ყოფილა კანონიერი, თუ ასეთი ნებართვა არ არსებობდა, მაშინ მიყურადება ყოფილა უკანონო, ხოლო თუ უკანონოა, გამოძიება უნდა გაგრძელდეს იმ მიმართულებით, თუ ვინ განახორციელა უკანონო მიყურადება, უნდა გამოვლინდეს შესაბამისი პირი და დაისაჯოს კანონის შესაბამისად.“**

ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი **ნიკა გვარამია** 6 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებს: **„მიუხედავად არაერთი დაპირებისა, რომ პირველ რიგში, ამ მიმართულებით მოხდებოდა რადიკალური ცვლილებები, ჩვენ შემთხვევაში ადგილი აქვს უპრეცედენტო შემთხვევას — წამყვანი ტელეკომპანიის ტოპმენეჯმენტის აუდიო ვიზუალურ თვალთვალს. რამდენიმე დღის წინ შსს-დან გამოჟონა ინფორმაციამ და მოგვაწოდოს ვიდეომასალა, სადაც თვალთვალივ ჩანს, როგორ მიდის ჩემი და საინფორმაციო სამსახურის უფროსის, ნინო შუბლაძის აუდიო-ვიზუალური ჩაწერა. წარმოდგენილი მასალა მოიცავს ორ ფაილს. ჩემ შემთხვევაში ჩანაწერის ქრონომეტრაჟი არის 15 წუთი, ნინო შუბლაძეზე — 1 საათი. მედიას მივცემთ ამონაკრებს თითო წუთიანს. დანარჩენზე არის პირადი ხასიათის დეტალები, რომლის გამხელისგან თავს შევიკავებთ... ჩვენი ძალებით ვეცადეთ სათვალთვალო ტექნიკის აღმოჩენას, მაგრამ ვერ შევძელით. აღმოვაჩინეთ სპეციფიური ნახვრეტები, თუმცა ვიდეოკამერები არ დაგხვდა“.**

გვარამიას ინფორმაციით ჩანაწერები 2013 წლის ივნისშია გაკეთებული და ხელისუფლებას მოუწოდებს: **„შეწყდეს ჩვენი მედიის უკანონო თვალთვალი და ფარული მიყურადება. მეორე — დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება და უმკაცრესად დაისაჯოს დამნაშავეები და ყველა ის თანამდებობის პირი, რომელსაც მიღებული აქვს უკანონო გადაწყვეტილება, ან გაცემული აქვს უკანონო დავალება, ან რომლისთვისაც ცნობილი იყო უკანონო დავალების თაობაზე და მათ აღმოსაფხვრელად ზომები არ მიიღო. მესამე - მომავალში ნებისმიერი სახისა და შინაარსის უკანონო გზით მოპოვებული ჩანაწერების გავრცელებასა და საინფორმაციო სივრცეში მათ განთავსებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ხელისუფლებას“.**

6 მაისსვე, პროკურატურამ „რუსთავი 2“-ის განცხადების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო. პროკურორ კოკა კაციტაძის განცხადებით, **„გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს კერძო საუბრების, კერძო კომუნიკაციის, საიდუმლოს დარღვევას. მთავარ პროკურატურაში შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს ყველა საგამოძიებო მოქმედებას და ღონისძიებას, რათა საქმეზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება. ამავდროულად, ჩვენ მივმართავთ „რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს, რომ აქტიურად ითანამშრომლონ საგამოძიებო სამსახურთან, რათა უმოკლეს დროში მოხდეს გავრცელებული ვიდეომასალის წარმომავლობის და შესაძლო დანაშაულში მონაწილე ყველა პირის გამოვლენა“.**

„ვერსიანიუსი“

ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო ნომერს კარგავს

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო ნომერ 5-ს კარგავს. ამასთან დაკავშირებით პარტია განცხადებას ავრცელებს და ცესკო-ს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შემდეგ ხელისუფლება და სრულიად სახელმწიფო სტრუქტურები მობილიზებულია, რათა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მაქსიმალურად შეზღუდულ და პრობლემატურ გარემოში მოუწიოს კამპანიის წარმართვა. კამპანიის დასაწყისიდანვე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არაერთ ხელშეშლასა და ბარიერს აწყდება. ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებზე ზეწოლის, მათი სამართალდამცავ ორგანოებში დაკითხვებზე მუდმივი სიარულის და უკიდურესი ზომის — დაკავებების შესახებ საზოგადოება უკვე არაერთხელაა ინფორმირებული.

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოაღნიშნულს კიდევ ერთი ახალი, განსაკუთრებით პრობლემური ფაქტი შეემატა. ა.წ. 5 მაისს საარჩევნო ბლოკმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია ენმ ქრისტიან კონსერვატიულ პარტასთან, წერილობით მიმართა ცესკოს არჩევნებში რიგითი ნომერი 5-ით მონაწილეობის შესახებ. თუმცა აღნიშნულ მოთხოვნაზეც უარი მიიღო. მიზეზად ცესკო საარჩევნო კოდექსის იმ ნორმას მიუთითებს, რომლის მიხედვითაც აუცილებელია საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტია მონაწილეობს წინა საპარლამენტო არჩევნებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ზუსტად იგივე ნორმით (საარჩევნო კოდექსის აღნიშნული მუხლი არ შეცვლილა, ცვლილებების განხორციელების შედეგად მხოლოდ მუხლის ნუმერაცია შეიცვალა) საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ნომრები მიენიჭა სამ საარჩევნო ბლოკს:

1. ალიანსი საქართველოსთვის (1. საქართველოს რესპუბლიკური პარტია; 2. ახალი მემარჯვენეები; 3. ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები; 4. საქართველოს გზა);

2. ეროვნული საბჭო (1. საქართველოს კონსერვატიული პარტია; 2. ხალხის პარტია; 3. მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის);

3. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (1. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; 2. ჩვენ თვითონ; 3. ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია).

ყველა ამ ბლოკის შემადგენლობაში შედიოდა მინიმუმ ერთი პარტია, რომელსაც წინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საარჩევნო ბლოკს „ქართული ოცნება“ ანალოგიურ მოთხოვნაზე ცესკო-მ უარი უთხრა, რაც იმ არგუმენტით იქნა ახსნილი, რომ საპარლამენტო არჩევნების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ნომრის მინიჭების საკითხი კოდექსის სხვადახვა ნაწილებით და, შესაბამისად, სხვადასხვა მუხლით არის განსაზღვრული და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია. სამწუხაროა, რომ ცესკო-მ ვერ გაუძლო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას და ვერ შეძლო პრინციპული და სამართლებრივად გამართლებული პოზიციის დაცვა.

ენმ იყენებს თავის კონსტიტუციურ უფლებას და ასაჩივრებს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას სასამართლოში. იმედს ვიტოვებთ, რომ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება და შეწყვეტს თავის უკანონო ქმედებებს საარჩევნო ბლოკ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, ხოლო სასამართლო შეძლებს, დადგეს პოლიტიკურ თამაშებისა და ზეწოლაზე მაღლა და მიიღოს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება“.

„ინტერპრესნიუსი“

დაზარალებული ბიზნესმენები და ვენდეტა ქართულად — ვინ იქნება შემდეგი

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

შაბათს, 3 მაისს, ბიზნესმენი დავით კოდუა ბარნოვის ქუჩაზე სასტიკად სცემეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველ განყოფილებაში იმავე დღეს გამოცხადდა 1976 წელს დაბადებული ნოშრევან ნამორაძე, რომელმაც აღიარა, რომ კონფლიქტი შურისძიების ნიადაგზე მოხდა. ნამორაძეს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მიმდინარეობს გამოძიება. დიდი ხანია, რაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში დაზარალებული და ქონებაწართმეული ბიზნესმენები სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ, თუმცა პროცესი ჭიანურდება. საქართველოს მთავარ პროკურატურაში ათიათასობით საქმეა გაჩერებული, რომლითაც დაზარალებულმა ბიზნესმენებმა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მიმართეს. 3 მაისს, ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი შემთხვევითობა არ არის, შურისძიების მოტივით სამართლიანობის აღდგენის მცდელობას ხვალ გაცილებით უარესი შედეგი მოჰყვება, თაროზე შემოდებული საქმეები ხელისუფლებას ბუმერანგივით, სისხლიანი ვენდეტის სახით დაუბრუნდება და ქვეყანაში უმართავი პროცესი დაიწყება.

ნოშრევან ნამორაძე კომპანია „ტიფლის დეველოპმენტის“ დამფუძნებელი და 50%-იანი წილის მფლობელი იყო, დარჩენილ 50%-ს კი გიორგი ზაქაიძე ფლობდა. ნოშრევან ნამორაძის მეუღლემ, **ნინო სუთიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ „ტიფლის დეველოპმენტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გიორგი ზაქაიძე, კოდუებთან იყო შეკრული.

„მათ ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ ნოშიკო დაეჭირათ და მისი ქონება ხელში ჩაეგდოთ. ძალიან მარტივი სქემით მოქმედებდნენ, დავით კოდუამ, მისი ძმის, ერეკლე კოდუას დახმარებით განახორციელა ეს გეგმა, ჩემს მეუღლეს ნარკოტიკები ჩაუდეს და იძულების წესით გადამაფორმებინეს ქონება დავით კოდუას სახელზე. თანხა არ შემოუთავაზებიათ, ან რატომ უნდა შემოეთავაზებინათ, ჩვენ ხომ ამ ქონების გაყიდვას არ ვაპირებდით. მოკლედ, სოდ-ის თანამშრომლები სახლში შემოგვიცვივდნენ, ნოშიკოს ნარკოტიკი ჩაუდეს, 500 000 ლარი გადაგვახდევინეს, ქონება წაგვართვეს და ჩემი მეუღლე სამი თვით ციხეში ჩასვეს“.

სამართლიანობის აღდგენა და უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება ქართული ოცნების ერთ-ერთი დაპირება იყო, რაც დაპირებად დარჩა. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოს მთავარ პროკურატურას ათიათასობით დაზარალებულმა ბიზნესმენმა მიმართა, მაგრამ ეს საქმეები დღემდე გამოუძიებელია. ფაქტია, რომ „ტიფლის დეველოპმენტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნოშრევან ნამორაძე, დავით კოდუას შურისძიების მიზნით გაუსწორდა, რაც ცალსახად დანაშაულია. განვლილი წელიწადნახევრის განმავლობაში, ხელისუფლებას ქონების წართმევის, თუ ბიზნესწილის დათმობის ერთი ფაქტი მაინც რომ გამოეძიებინა, შესაძლოა, 3 მაისს, ბარნოვის ქუჩაზე ეს ინციდენტი არც მომხდარიყო.

ნამორაძის მიერ კოდუას სასტიკად ცემის ფაქტი, სამართლიანობის აღდგენის მიზეზით ანგარიშსწორების მცდელობის პირველი შემთხვევაა, რაც საქართველოს ხელისუფლებისთვის საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს. ათიათასობით დაზარალებულმა ბიზნესმენმა, რომლებსაც ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებმა ქონება იძულების წესით წაართვეს, ციხეში გამოკეტეს და წილები დაათმობინეს, ნოშრევან ნამორაძეს რომ მიბაძოს და ისინიც ისევე გაუსწორდნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ქვეყანაში უმართავი პროცესი დაიწყება. არადა, სისხლიანი ვენდეტის, კარგად ორგანიზებული შურისძიების ან თუნდაც აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის ნიშნები სახეზეა და ღმერთმა ნუ ქნას, ნოშრევან ნამორაძის შემთხვევა „დომინოს პრინციპით“ გადაედოს იმ დაზარალებულებს, რომლებიც ქართული ოცნებისგან სამართლიანობის აღდგენას ელიან და რომელთა საქმეებიც პროკურატურამ თაროზე შემოდო.

საზოგადოებრივი მოძრაობა „მართალი სამართალი ღირსებისათვის“ ხელმძღვანელი, **მამია სანადირაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას ამგვარ შესაძლებლობას არ გამორიცხავს და ხელისუფლებას მოუწოდებს, ქვეყანაში სამართლიანობა ცივილური გზით, სასამართლოს საშუალებით აღადგინოს:

„ნოშრევან ნამორაძე ნამდვილად ვაჟკაცურად მოიქცა, რადგან როდესაც ქვეყანაში სამართალი არ არის, უსამართლოდ დაჩაგრული და გაუბედურებული ადამიანი სწორედ ასე იქცევა. ის ხალხი, რომლებმაც პატიოსანი ბიზნესმენები გაძარცვეს,ყოველგვაორი სინანულის გარეშე დაიარებიან ქალაქში, ტრაბახობენ და ურცხვად აცხადებენ, რომ ახალ ხელისუფლებასთან საერთო ენა გამონახეს. საქართველოს მთავარ პროკურატურაში ათიათასობით ასეთი საქმეა, ეს ბიზნესმენები კი ფსიქოლოგიურად დათრგუნულები არიან, ზოგი გალოთდა კიდეც. ცივილიზებულ სამყაროში სამართლიანობის აღსადგენად სასამართლო არსებობს, დაჩაგრული და ქონებაწართმეული ადამიანი კი სამართალს ყოველთვის სასამართლოში პოულობს, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას გადის და ახალ ცხოვრებას იწყებს. ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ საკმარისი თანხა არ გააჩნია, რათა ქვეყანაში სამართლიანობა აღადგინოს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ზარალის ანაზღაურება მეორე ეტაპია. არ მესმის, რატომ ვერ ხვდება ხელისუფლება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია დაზარალებული ბიზნესმენების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, ანუ მთავარია, გამოძიება დაიწყოს და ის ხალხი დაისაჯოს, რომელმაც წინა ხელისუფლების პირობებში, ათიათასობით პატიოსანი ბიზნესმენი დაჩაგრა. სამწუხაროდ, ის, რაც სახელმწიფომ ვერ მოახერხა, ნოშრევან ნამორაძემ გააკეთა და აღიარა კიდეც საკუთარი დანაშაული.

დასასრული მე-4 გვერდზე

ნაციონალური მოძრაობა მაიდნის მოწყობას 17 მაისისთვის აპირებს

ნაციონალებმა რეგიონებში სრული მობილიზაცია გამოაცხადეს

გიორგი იაშვილი

უკრაინული მაიდნის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის არაერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ ხელისუფლებას ქართული მაიდანი ელის. მაშინ ეს სერიოზულად არავინ აღიქვა შინაგან საქმეთა მინისტრის გარდა, რომელმაც ინტერვიუში განაცხადა, რომ საფრთხე არსებობს, მაგრამ ამის გამო ალექსანდრე ჭიკაიძე თანაგუნდელებმაც კი ლამის ჯვარზე გააკრეს. ისიც გაჩუმდა, არადა ვითარება იმაზე რთულია, ვიდრე ჩანს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელმა, ირაკლი ვაჭარაძემ განაცხადა, რომ 17 მაისს ლგბტ პირები აქციას აღარ გეგმავენ და ამ დღეს მხოლოდ იმ ფილმის პრემიერით აღნიშნავენ, რომელიც ქართულ კინოთეატრებში გავა და რომელიც ქართველ გეებზეა გადაღებული. თავის მხრივ, სამღვდელოებამ რუსთაველზე 30 ათასკაციანი აქცია დააანონსა და დილიდან საღამომდე ლოცვას აპირებს, თუმცა...

„ვაჭარაძემ ნაციონალურ მოძრაობასთან შეთანხმებით განაცხადა უარი აქციის გამართვაზე, რადგან რეალურად აქციის გამართვას სწორედ ნაციონალები აპირებენ. „იდენტობისკენ“ ხელს ვეღარავინ გაიშვერს, რადგან ამ ორგანიზაციას ოფიციალურად აქვს უარი ნათქვამი აქციაში მონაწილეობაზე. რეგიონებში მობილიზაციაა გამოცხადებული და რეალურად, ნაცები არჩევნებისთვის კი არა, სწორედ 17 მაისისთვის ემზადებიან“...

ეს განცხადება ჩვენთან ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი რაიონული ორგანიზაციის აქტივისტმა გააკეთა და ისიც აღნიშნა, რომ

> **თითო რაიონიდან 250-დან 500 კაცამდე ადამიანის ჩაყვანა იგეგმება. მისივე თქმით, ეს ადამიანები საპატრიარქოს მიერ დაანონსებული აქციის წევრებს პროვოკაციაზე მარტივად წამოაგებენ, ვიღაც მერე დროშის ტარს მოიქნევს და პირველი ნიშანი იმისა, რომ თბილისური მაიდანი იწყება, საბურავების დაწვა იქნება — რეგიონებიდან თითოეულ ორგანიზაციას თბილისში 20 საბურავის ჩატანა ევალება. შესაძლოა, ვინმეს ეს საფრთხე გადაჭარბებულად ეჩვენოს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ სწორედ ჩვენ დავწერეთ პირველად, 17 მაისისთვის გეებზე გადაღებული ფილმის პრემიერა რომ იგეგმებოდა და მაშინაც გვითხრეს, რომ ეს სიმართლეს არ ჰგავდა, თუმცა აფიშები უკვე გამოკრულია და ფილმიც დაანონსებული.**

გარდა იმისა, რომ 17 მაისს არეულობაა დაგეგმილი, არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი — ამ დღეს საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტი, ფრანსუა ოლანდი ჩამოდის. როგორ გგონიათ, საფრანგეთის პრეზიდენტი თბილისურ აქციას და ცემა-ტყეპას (რაც დღევანდელი მდგომარეობით გარდაუვალია) რომ ნახავს, როგორი რეაქცია ექნება? 30-ათასიან აქციას ნაციონალები სათავისოდ რომ გამოიყენებენ და მაქსიმალურად შეეცდებიან, შარშანდელზე უარესი ამბავი მოაწყონ, უკვე ცნობილია და რეგიონებშიც ნაცმოძრაობის აქტივისტები სწორედ ნახმარი საბურავების შეგროვებით არიან დაკავებულნი. ჯერჯერობით, არავინ საუბრობს „მოლოტოვის კოქტეილებზე“, მაგრამ უკრაინის გამოცდილებიდან გამომდინარე, საბურავებიდან „მოლოტოვამდე“ ერთი ნაბიჯია.

ზუსტად ვიცით, რომ ამ სტატიას ნაციონალური მოძრაობის წევრები სისულელეს უწოდებენ, 17 მაისისთვის პასუხისმგებლობასაც მოიხსნიან და ესეც მათი გეგმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. პასუხისმგებლობა მოიხსნა „იდენტობამ“, ოფიციალურად აქციაზე მისვლას არ აპირებენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და რა გამოვა? სწორია — ეს ყველაფერი ქართველი ხალხის ნებას დაბრალდება. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპა და აქ მყოფი ოლანდი თითს ერთად დაგვიქნევენ, ხალხის ნებას წინ არ აღუდგეთო და უმართავი პროცესი მაპ-ზე უკეთესივით ხელში გვიჭირავს.

ვერ გეტყვით, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს, მაგრამ ფაქტია, რომ კარგი არაფერი ხდება და ის სიმშვიდე, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას სახეზე აწერია, ვერ გეტყვით, რითაა გამოწვეული. გამორიცხულია, მათ ეს ინფორმაცია არ ჰქონდეთ, მაგრამ საამისოდ ზომებს რომ იღებდნენ, აშკარად არ შეიმჩნევა. თუ ეკა ბესელიასავით ხელისუფლება ქართველი ხალხის სიბრძნის იმედადაა, გვერწმუნეთ, ეს სიბრძნე ხშირად სისასტიკეში გადადის და ამის მაგალითი მრავლად გვაქვს.

P.S. რა აქ მოსატანია, მაგრამ თუ აკვირდებით, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტი მიაძინეს. სამაგიეროდ, ჩვენ არ „გვძინავს“ და საინტერესო დეტალებიც გავიგეთ. უფრო ზუსტად, ის ვერსია გავიგეთ, რომელიც ყველაზე რეალურად ჟღერს და რაც მთავარია, რომლის გახმაურებაც ნუგზარს არაფრით აწყობს. თანაც, იმის მტკიცება, რომ წიკლაური 8 კაცმა სცემა და დავით კოდუა მხოლოდ ერთმა, უკვე სასაცილოა და... ნუგზარ, ნაცმა თხარა, თხარაო... მოდი, ამჯერად „თხარა, თხარა“ ვიკმაროთ.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში „თბილისის სამიტი 2014“ გაიმართება

სამიტს, რომელზეც ქვეყნებს შორის ბოლო 20 წლის განმავლობაში ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო და ენერგეტიკული თანამშრომლობის შედეგებს განიხილავენ, სამი ქვეყნის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ერთობლივად გახსნეს. სამ ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენლებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელების შესახებაც იმსჯელეს. სამიტის ფარგლებში დაგეგმილია პრეზიდენტების სამმხრივი და ორმხრივი შეხვედრები. „თბილისის სამიტი 2014“ საქართველოს პრეზიდენტის თურქეთსა და აზერბაიჯანში ვიზიტისას დაიგეგმა. თურქეთის პრეზიდენტი საქართველოს 5 მაისს ეწვია და ოფიციალურ ვიზიტს აგრძელებს, ხოლო აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საქართველოს 6 მაისს დატოვებს. ილჰამ ალიევის ინიციატივით, შემდეგი სამიტი ბაქოში ჩატარდება.

„პირველი“

ირაკლი ალასანია: „პრემიერი ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატო-ს“

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ ბრუკინგსის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: **„ჩვენ უახლოეს ხანებში ევროკავშირთან ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმების ხელმოწერას ველოდებით, რომელიც სავარაუდოდ, ივნისის მეორე ნახევარში გაფორმდება. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება იქნება იმ პროგრესის დასტური რასაც საქართველომ ათწლეულების განმავლობაში მიაღწია. ყველა ადმინისტრაციამ იმუშავა იმისთვის, რომ ქვეყანა აქამდე მიეყვანა. პირველმა პრეზიდენტმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, მეორე პრეზიდენტმა საერთაშორისო რუკაზე დააფიქსირა საქართველო, პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ძლიერია, ამჟამინდელი პრემიერი კი აკეთებს ყველაფერს, რათა წინა მთავრობების წარმატებების საფუძველზე, კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატო-ს“.**

მისივე თქმით, უფრო სწრაფი, ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგას აშშ-მ და ნატო-მ, რომ საქართველო მალე გახდეს ნატო-ს წევრი: **„მთავრობის დავალებით აშშ-ში ვიზიტისას ორ საკითხზე ვარ კონცენტრირებული, ესაა: თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდა — საქართველოს სტრატეგიულ ურთიერთობებში ამერიკასთან ერთ-ერთი დიდი ფრთა სწორედ თავდაცვასა და უსაფრთხოებას უკავია; მეორე საკითხი ნატო-ში გაწევრიანებაა. აღნიშნულ კონტექსტში, რაც ხდება ახლა უკრაინაში, უფრო სწრაფი, ეფექტური ნაბიჯები უნდა გადადგას აშშ-მ და ნატო-მ, რომ საქართველო ძალიან მალე გახდეს ნატო-ს წევრი“.**

„ინტერპრესნიუსი“

კანადამ 16 რუსული კომპანიისა და ბანკის წინააღმდეგ სანქციები დააწესა

კანადამ, აშშ-ს ანალოგიურად, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების გამო 16 რუსული კომპანიისა და ბანკის წინააღმდეგ სანქციები დააწესა. ამის შესახებ კანადის პრემიერ მინისტრმა სტივენ ჰარპერმა განაცხადა.

„ჩვენ გავაგრძელებთ ანალოგიურ ქმედებებს, თუ უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ იქნება“, — განაცხადა კანადის პრემიერმა. სანქციები შეეხოთ შემდეგ კომპანიებსა და ბანკებს: „აკვანიკა“, „ავია გრუპ“ (შერემეტევო), „ავია გრუპ ნორდ“ (სანკტ-პეტერბურგი), „ზესტ“(სანკტ-პეტერბურგი), „ინვესტკაპიტალბანკი“, „სობინბანკი“, „სახატრანსი“, ბანკი „სევერნი მორსკოი პუტ“, „სტროიგაზმონტაჟ“, „საინვესტიციო კომპანია აბრსოსი“, ჯგუფი „ვოლგა“, „სტროტრანსგაზ ჰოლდინგი“ და მისი შვილობილი კომპანიები.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სამართალდამცველებმა 35 კგ „ბიო“ გაანადგურეს

6 მაისს, გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, შინაგან საქმეთა სამინიხტროსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი, დაახლოებით, 35 კილოგრამი „ბიო“ გაანადგურეს.

2013-2014 წლებში გამოვლენილია „ბიოს“ (მცენარეული წარმოშობის მოსაწევი საშუალების და, ასევე, ფხვნილის) ინტერნეტის საშუალებით შესყიდვისა და საფოსტო გზავნილის სახით შემოტანის 317 ფაქტი. დაფიქსირდა მგზავრების მიერ „ბიოს“ შემოტანის ფაქტებიც. აღნიშნულის შესახებ ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, რომელსაც ასევე გაეგზავნა ნიმუშები შემდგომი ექსპერტიზისა და რეაგირებისათვის. „ბიოს“ ზემოქმედება ბუნებრივი წარმოშობის კანაბინოიდების იდენტურია და შეიცავს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ, ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებათა I სიაში შემავალ ნივთიერებებს. ამასთან დაკავშირებით, კანონმდებლობაში განხორციელდა რიგი ცვლილებები (კერძოდ, ცვლილება შევიდა კანონში „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ და 2014 წლის 1 მაისიდან ძალაში შევიდა კანონი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ). შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული საქონელი განადგურებას ექვემდებარება.

„ვერსიანიუსი“

ანალიტიკა

დაზარალებული ბიზნესმენები და ვენდეტა ქართულად — ვინ იქნება შემდეგი

მე-3 გვერდიდან

ყველამ თუ ასე დაიწყო ანგარიშსწორება იმ უნამუსო ადამიანების მიმართ, რომლებიც წლების მანძილზე ჩაგრავდნენ პატიოსან ბიზნესმენებს, პროცესი უმართავი გახდება“.

ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები ბიზნესმენებს სხვადასხვა მეთოდით ათმობინებდნენ ქონებას. ერთ შემთხვევაში, საგადასახადო სამსახურის გამოყენებით, კომპანიას ათეულობით მილიონი ლარის ჯარიმას აწერდნენ, რაც იმდენად არაადეკვატური იყო, რომ კომპანიის მფლობელი ჯარიმის გადახდას, ხელისუფლების სასარგებლო, წილის დათმობას ამჯობინებდა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ბიზნესმენებს საკუთარ ქონებას კომერციული ბანკების საშუალებით ართმევდნენ. ნოშრევან ნამორაძის შემთხვევაში კი ნარკოტიკების ჩადების სქემა იკვეთება, რადგან ეს მხოლოდ ერთი ფაქტი არ არის. მთავარი პროკურატურის თაროზე შემოდებულ საქმეებში, ბევრი შემთხვევაა, როდესაც ნარკოტიკების ჩადებითა და დაპატიმრების შედეგად, ბიზნესმენებს კომპანიები წაართვეს.

მამია სანადირაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ნარკოტიკების ჩადების სქემის სათავეში, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) მაშინდელი უფროსი, ერეკლე კოდუა მოიაზრება. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის ყველა მაღალჩინოსანს ბიზნესის წართმევის საკუთარი ხელწერა ჰქონდა, მაგალითად, ერეკლე კოდუა ნარკოტიკების ჩადებით გამოირჩეოდა, ზოგი მაღალჩინოსანი ბიზნესმენის სახლში, ან მანქანაში იარაღს დებდა და ასე შემდეგ. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, **გია ხუხაშვილი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა კრიმინალური ხელისუფლებას იყო და წინა ხელისუფლების პირობებში, ნარკოტიკების ჩადებით ბიზნესის წართმევა ერთ-ერთ, საკმაოდ ცნობილი სქემას წარმოადგენდა:

„ფაქტია, რომ სამართლიანობის აღდგენის მხრივ, ახალი ხელისუფლება ეფექტური ვერ არის. ის, რაც 3 მაისს, ბარნოვის ქუჩაზე მოხდა, საგანგაშო სიმპტომია, რადგან გამორიცხული არ არის, რომ ნოშრევან ნამორაძის ქმედებას, ასეთი შემთხვევების მთელი ჯაჭვი მოჰყვეს. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, ათიათასობით დაზარალებულ ბიზნესმენს, არჩევნებში გამარჯვებული ქართული ოცნების იმედი ჰქონდა. ისინი დაუფარავად აცხადებდნენ, რომ თუ ხელისუფლებას ვერ აღადგენდა სამართლიანობას, მაშინ თვითონვე გაუსწორდებოდნენ მათ, ვინც ქონება წაართვა. ამიტომ აუცილებელია, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესს, ხელისუფლებამ სისტემურად შეხედოს და იმ საქმეების გამოძიება დაიწყოს, რომლითაც დაზარალებულებმა პროკურატურას მიმართეს“.

მართალია, ნარკოტიკების ჩადების შედეგად, ქონების დათმობის სქემის სათავეში ერეკლე კოდუას მოიაზრებენ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მხოლოდ კოდუა, ამდენს ვერ გაბედავდა. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ქვეყნის ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყველა ამგვარი შემთხვევის საქმის კურსში იყო და კოდუა, სწორედ სააკაშვილთან შეთანხმებით მოქმედებდა. ერეკლე კოდუას მეუღლე, ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი, „ტიფლის დეველოპმენტთან“ დავით კოდუას კავშირს უარყოფს, მაგრამ ნოშრევან ნამორაძის მეუღლემ ნინო სუთიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომპანიის წილი სწორედ კოდუას სახელზე გადააფორმეს.

ქართულ-ყაზახური კომპანია „ტიფლის დეველოპმენტი“, თბილისის მერიის მუნიციპალური განვითარების ფონდის სხვადასხვა პროექტში მონაწილეობდა, მათ შორის, დავით აღმაშენებლის რეაბილიტაციის პროექტშიც. მეტიც, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილზე, 22 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციით, სასტუმროს მშენებლობასაც სწორედ „ტიფლის დეველოპმენტი“ ახორციელებს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „ტიფლის დეველოპმენტის“ წარმომადგენლებს აქტიური კავშირი აქვთ თბილისის მერის, გიგი უგულავას ქვისლთან, გიორგი ღონიაშვილთან.

გამორიცხული არ არის, რომ კოდუას დახმარებით, ნოშრევან ნამორაძეს „ტიფლის დეველოპმენტში“ წილი იმიტომ დათმობინეს, რომ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს ეს კომპანია საკუთარი მიზნებისთვის, ანუ სხვადასხვა სამშენებლო პროექტებზე, დიდი ოდენობით თანხის „ატკატისთვის“ გამოეყენებინათ. ამის ნათელი მაგალითი ვაკის პარკის ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობაა, რასაც თბილისელები დიდი ხანია აპროტესტებენ და რის გამოც, თბილისის ექსმერის, გიგი უგულავას თანხმობით, ორიოდე წლის წინ ამ ტერიტორიაზე მწვანე საფარი გაანადგურეს.

სანდრო ბრეგაძე

„ეკლესიას კიტოვანის მსგავსი მოღალატეები თავის დროზე რომ გაენეიტრალებინა, ქართველების ტანჯვა-წამება დღემდე აღარ გაგრძელდებოდა!“

ეროსუდან შელია
557-100-768

თენგიზ კიტოვანი „ერის სამსახურში“ ბრუნდება და ანტიტერორისტულ არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღებისთვის დეპუტატებსაც ემუქრება — მისი დამტკიცებისთვის პარლამენტში შეჭრითა და ცხვირ-პირს დამტვრევით იმუქრება... რას უკავშირდება თენგიზ კიტოვანის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა და ვის დაკვეთას ასრულებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, „ვერსიას“ მოძრაობა „ეროვნულობის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრა.

— საქართველო რომ პარადოქსული ქვეყანაა, კიდევ ერთხელ დადასტურდა — ტერორისტი თენგიზ კიტოვანი ანტიტერორისტულ ორგანიზაციას ქმნის, არადა ქვეყანა დღემდე სწორედ კიტოვანის მსგავსი ადამიანების მოღალატეობრივ შედეგებს იმკის... ფაქტია, მან საქართველოს მტრებისგან გარკვეული დაკვეთა მიიღო. როგორც წესი, თენგიზ კიტოვანის მსგავს ფიგურებს, რაღაც ეტაპზე, პროვოკაციისთვის გამოაჩენენ ხოლმე.

— იქნებ დააკონკრეტოთ ძალა და მიზანი, რისთვისაც თენგიზ კიტოვანის მსგავსი ფიგურები საქართველოში ბრუნდებიან და პროვოკაციებით იმუქრებიან.

— ბუნებრივია, რუსეთში არსებულ სხვადასხვა ჯგუფს ვგულისხმობ... კიტოვანი რუსული სპეცსამსახურების ყველაზე დაბალი დონის ჯგუფის დავალებებს ასრულებს, რომელზე ყურადღების გამახვილებაც არ ღირს, თუმცა გარკვეული პრევენცია აუცილებელია, რადგან საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის კიტოვანს მცირე ზიანის მიყენება მაინც შეუძლია.

— თენგიზ კიტოვანი, რომან გვენცაძესთან ერთად, დეპუტატებს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა. რატომ აქვთ ამ ადამიანებს დღემდე ტრიბუნა და შესაძლებლობა, ქვეყანას თუნდაც მცირე ზიანი მიაყენონ, რატომ არ ხდება სახელმწიფოს ღალატში ბრალდებული ადამიანების ლუსტრირება?

— თენგიზ კიტოვანი პარლამენტში შევა და კაი ჩიტსაც დაიჭერს! 90-იანი წლები საქართველოში აღარასოდეს დაბრუნდება, ამის მტკიცედ მჯერა! კიტოვანი მხოლოდ პენსიონერი მასხარაა, რომელიც საქართველოს ისტორიაში მხოლოდ მოღალატის სტატუსით დარჩება, ლუსტრაციის კანონი კი აუცილებლად მისაღებია, რათა საზოგადოებამ დეტალურად იცოდეს, ვინ ასრულებდა საბჭოთა იმპერიის სპეცსამსახურების დაკვეთას. თუ ქვეყნის აშენება და განვითარება გვინდა, ლუსტრაციის კანონის დამტკიცებით უნდა დავიწყოთ, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობა სწორედ მოღალატეებმა დაანგრიეს. 1992 წლის სამხედრო გადატრიალების ავტორებიც სათანადოდ უნდა დაისაჯონ — ვინც ცოცხალია, კანონის წინაშე პასუხი აგოს, გარდაცვლილებს კი საგამოძიებო ორგანოებმა ოფიციალური მოღალატის სტატუსი მიანიჭონ. ამით ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრეცედენტსაც შევქმნით. ვინც პუტჩი მოაწყო და ხუნტა ხელისუფლებაში მოიყვანა წლების შემდეგ თუ გავასამართლებთ, ახალგაზრდა მოღალატეებს ეცოდინებათ, რომ სამხედრო გადატრიალებისთვის პასუხს თავადაც უმკაცრესად აგებენ. შეგახსენებთ, ჩილეში გენერალი პინოჩეტი, რომელმაც ხელისუფლება დაამხო და დიქტატორი გახდა, წლების შემდეგ, 80 წლის ასაკში სამხედრო გადატრიალებისთვის გაასამართლეს. თუ საქართველოში თენგიზ კიტოვანს, თენგიზ სიგუას, ჯაბა იოსელიანსა და ხუნტის დანარჩენ წევრებს, რომლებმაც სახელმწიფოებრიობას ტყვია ესროლეს, მოღალატის სტატუსს ოფიციალურად მივანიჭებთ, მომავლისთვის მნიშვნელოვან პრევენციულ ნაბიჯს გადავდგამთ.

— ეკლესიამ არ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ 90-იან წლების დასაწყისში სამოქალაქო დაპირისპირების განმუხტვა არ სცადა? თენგიზ კიტოვანი დღემდე აცხადებს, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ მის უკან ეკლესია დგას.

— ეს კითხვა მეც მაწუხებს, რადგან 90-იანი წლების დასაწყისში ეკლესიას ბევრად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და სამხედრო გადატრიალების პრევენცია შეეძლო. რაც შეეხება კიტოვანის განცხადებას, დარწმუნებული ვარ, მის უკან ეკლესია არ დგას და ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. მოღალატის უკან ეკლესია ვერასოდეს დადგება! ნებისმიერი ნორმალური მოძღვარი კიტოვანის მსგავს ადამიანს ახლოს არ გაიკარებს. ისე, კიტოვანი ღმერთმა დასაჯა, მეტყველებისა და აზროვნების უნარი არ აქვს. ახლა კი, ხანშიშესული მოღალატის ბოდვებს გვთავაზობს. თენგიზ კიტოვანი 90-იან წლებში ენერგიული მოღალატე იყო და დამხმარე ძალები არ ჭირდებოდა, დღეს კი იმდენი მოღალატეა ახალგაზრდა თაობაში, რომ არ მგონია, საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ძალისთვის კიტოვანი და რომან გვენცაძე სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენდეს.

— და ვინ არიან ეს „ახალგაზრდა მოღალატეები“.

— სამწუხაროდ, ბევრნი არიან, არ დავაკონკრეტებ, საზოგადოებამ მათი ვინაობა ისედაც კარგად იცის! რაც შეეხება ანტიდისკრიმინაციულ კანონს, ჩემი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით, ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ინტენსიური დიალოგი აუცილებელი იყო. როცა ქვეყნის მომავალზეა საუბარი, მართლმადიდებელი ეკლესიის აზრი მნიშვნელოვანია.

— ზვიად გამსახურდიასა და ზვიადისტების წინააღმდეგ განხორციელებულ დევნას რატომ არ აპროტესტებდნენ სასულიერო პირები, სად იყო ეკლესია როცა აფხაზეთში ომი დაიწყო და ქვეყნის ბედი წყდებოდა?

— ეს დისკრიმინაცია კი არა, ზვიადისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ განხორციელებული ტერორი იყო — ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ! მადლობა ღმერთს, რამდენიმე სასულიერო პირის გახსენება შეგვიძლია, რომლებიც მაშინ ქვეყნის სადარაჯოზე იდგნენ. საზოგადოებას კარგად ახსოვს, სამეგრელოში დაკავებული მღვდლები „მხედრიონმა“ როგორ აწამა... თუმცა, ვიმეორებ, ეკლესია ამ პროცესებში ბევრად აქტიური უნდა ყოფილიყო და შეიარაღებული დაპირისპირება თავიდან აეცილებინა. ეკლესიას კიტოვანისა და სიგუას მსგავსი მოღალატეები თავის დროზე რომ გაენეიტრალებინა, ქართველების ტანჯვა-წამება დღემდე არ გაგრძელდებოდა.

— ლოგიკურად მივედით კითხვამდე, რატომ არ მოხდა ასე და ვისი ინტერესების გამო დუმდა ეკლესია მაშინ?

— არ ვარ დარწმუნებული, რომ რომელიმე სასულიერო პირი რუსეთისგან იმართება, თუმცა, რა თქმა უნდა ეკლესიაში არიან ადამიანები, რომლებიც გაკრვეული ძალების დავალებას ასრულებენ.

— რატომ არ შეიძლება თამამად საუბარი, ვის დავალებებს ასრულებენ?

— ალბათ იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა საქართველოს ეკლესიასა და მართლმადიდებლობაზე იდგა. შესაძლოა, სასულიერო პირების პოზიცია გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში მიუღებელია, თუმცა, როცა საკითხი ტრადიციებსა და რწმენის თავისუფლებას ეხება, მართლმადიდებელი ეკლესიის მოსაზრება გასათვალისწინებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ეკლესია მუდმივი ტერორის ქვეშ იყო, როგორც საბჭოთა იმპერიის დროს, ასევე ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას — სოსო თოფურიძე და დათა ახალაია სინოდის სხდომისას ვითარებას მეორე ოთახიდან აკონტროლებდნენ... ეს ყველაფერი კი ეკლესიაზე აისახა და მომავალშიც საკმაოდ მძაფრად იჩენს თავს. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ხელისუფლება და ეკლესია ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, მაგრამ ფაქიზ საკითხებთან დაკავშირებით ორივე მხარემ ერთმანეთს უნდა მოუსმინოს და საერთო პოზიცია ჩამოაყალიბოს.

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

თვითმმართველობის არჩევნებისთვის 26 პოლიტიკური გაერთიანება დარეგისტრირდა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო რეგისტრაციის პროცესი დაასრულა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, დარეგისტრირდა 26 პოლიტიკური გაერთიანება, ხოლო 6-ს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა.

რაც შეეხება საარჩევნო ბლოკებს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უკვე რეგისტრირებულია 2 საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება“ და „არასაპარლამენტო ოპოზიცია“. კანონმდებლობის თანახმად, ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ პარტიებს 3 მაისის ჩათვლით უნდა წარედგინათ განაცხადი საარჩევნო ბლოკის შექმნის თაობაზე. ბლოკების შექმნის მიზნით კომისიაში, ზემოაღნიშნული ვადის გათვალისწინებით დამატებით ორი განაცხადია შესული: რეგისტრირებული პარტიებიდან ბლოკის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შექმნის თაობაზე ცესკო-ს, პ/გ-მ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ“ მიმართეს, ხოლო „თვითმმართველობა ხალხს“ ბლოკის შექმნის მოთხოვნით, კომისიაში განაცხადი შეიტანეს პარტიებმა — „ევროპელი დემოკრატები“ და „სამართლიანი საქართველოსთვის“.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პარტიების ბლოკებად რეგისტრაციის პროცედურები 9 მაისისთვის დასრულდება.

„ჯი-ეიჩ-ენი“



აშშ უკრაინას 100 მლნ-ის სამხედრო დახმარებას უმზადებს

ამერიკელი სენატორის, ჯონ მაკკეინის განცხადებით, სენატორების საკმაოდ დიდი ნაწილი ამზადებს კანონს, რომლის მიხედვით, უკრაინისთვის ასი მილიონი დოლარის სამხედრო დახმარების აღმოჩენა გახდება შესაძლებელი. როგორც ტელეკომპანია „ინტერის“ ეთერში მაკკეინმა აღნიშნა, საუბარი მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე არ არის.

„გვსურს, მივაწოდოთ საშუალებები რუსული აგრესიისთვის დასაპირისპირებლად, გავაგებინოთ პუტინს, რომ გადაიხდის დიდ ფასს, თუ უკრაინის აღმოსავლეთ ან დასავლეთ ნაწილის მიტაცებას გადაწყვეტს. კანონის მიღება შესაძლოა, დროში გაჭიანურდეს, დრო კი ამ შემთხვევაში ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს“, — განაცხადა სენატორმა. მისივე თქმით, შეეცდება დაარწმუნოს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომ უკრაინას სამხედრო დახმარება მალევე გაეწიოს.

რაც შეეხება რუსეთის სამომავლო აგრესიას, სენატორი დარწმუნებულია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ამჟამად ავსებს შესაძლებლობებს, სამხედრო ძალებს აგროვებს, პროვოკატორებს აგზავნის.

„რეალურად, ის არა მარტო უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილის, არამედ მოლვდოვასა და დნესტრისპირეთის ხელში ჩაგდებასაც ფიქრობს. ამერიკა მზადაა, პუტინის აგრესიას უპასუხოს იმით, რომ რუსეთი სრულიად იზოლირებული გახდეს, ჩვენ გავაგრძელებთ ზეწოლას, რათა რუსეთმა ჯარი გაიყვანოს, რათა ყირიმის სტატუსი აღვადგინოთ, არ მიგატოვებთ“, — აღნიშნა მაკკეინმა.

„პირველი“

„არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს, კეთილი ინებოს კომპანიამ და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედეთ კანონის შესაბამისად!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რუსთაველი მძღოლების პერმანენტულმა პროტესტმა ახალი გაგრძელება ჰპოვა. ქალაქში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩავიდა და ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებს ამ პრობლემის დროულად მოგვარება და მძღოლების დასაქმება მოსთხოვა. უახლოეს დროში გამოჩნდება, მთავრობის მეთაურის დავალება როგორ შესრულდება.

ირაკლი ღარიბაშვილი რუსთაველი მძღოლების პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს

რამდენიმე დღის წინ, რუსთავში უბედური შემთხვევა მოხდა. რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზზე მომუშავე ერთ-ერთმა მძღოლმა, ვეფხია გოგილაშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა — საკუთარ ბინაში თავი ჩამოიხრჩო. გარდაცვლილი სახლში ძმამ ნახა. ოჯახის წევრები მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. მძღოლების ადვოკატი და, იმავდროულად, ლეიბორისტული პარტიის მერობის კანდიდატი რევაზ რიჟამაძე მომხდარს ბოლო დროს, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს. მძღოლები ტენდერის შედეგების გაუქმებას ითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ თავიანთი სამარშრუტო ტაქსებით მუშაობას ვეღარ შეძლებდნენ. ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატი **რევაზ რიჟამაძე** „ვერსიასთან“ ასეთ განმარტებას აკეთებს:

„გარდაცვლილი ვეფხია გოგილაშვილი, რუსთავის სატრანსპორტო კომპანიის, შპს „სამება 77777“–ის პარტნიორი (ე.წ. ხაზის მეპატრონე, იხილეთ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) და იმავდროულად, მძღოლი იყო. მონაწილეობდა ყველა საპროტესტო აქციაში, 5 დღე რუსთავის მერიის წინ იშიმშილა და ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სასწრაფო დახმარებით საავადმყოფოშიც გადაიყვანეს (იხ. 112-ის სარეგისტრაციო ჟურნალის ამონაწერი). ისევე, როგორც ყველა მძღოლი, ტენდერის ჩატარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ბოლო დღეებში, რუსთავის მერიამ, ჩვენი მძღოლების უნებართვო საქმიანობისთვის 100 ლარით დაჯარიმება დაიწყო, ასევე ფინანსური პოლიციის შემოყვანის მუქარა იყო, თანაც ამ ფონზე, ჩვენი მძღოლების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, შპს „ინტერ ტრანსმა“ ყვითელი მიკროავტობუსების ხაზებზე შემოყვანა დაიწყო, რაშიც მას ადგილობრივი პოლიცია ეხმარებოდა. ვეფხია გოგილაშვილს საკუთარი მიკროავტობუსი ჰქონდა, შექმნილი ვითარების გამო იძულებული გახდა, გაეყიდა. ე.წ. გამარჯვებული კომპანიის მხრიდან რაიმე წერილობითი პირობა დღემდე მოცემული არ არის, მხოლოდ სიტყვიერი, თანაც არაერთგვაროვანი დაპირებებია, რასაც მძღოლები არ ენდობიან. დაახლოებით 2 კვირის წინ, მე-12 მიკრორაიონიდან გამავალი მარშრუტის ფირმასთან შეხვედრის დროს, ვეფხია გოგილაშვილმა იქ შეკრებილებს გვითხრა – რადგან გამოუვალ მდგომარეობაში ვართ, იქნებ თავის მოკვლაა საჭირო, რომ რაღაც დაიძრას, საერთო საქმეს გამოადგეს და არც ესაა პრობლემაო. თანაც, ეს სიტყვები ისე მშვიდად თქვა, ყურებს არ დავუჯერე და ჩავეკითხე – რა თქვი–მეთქი? იგივე გამიმეორა. ვუპასუხე – ვეფხია, რას ამბობ, თავი მოსაკლავი იმათ უნდა გავუხადოთ, ამდენი არაკაცობა აქვთ ჩადენილი-მეთქი. როგორც ახლა ვარკვევ, ასეთი საუბარი ვეფხიას მძღოლებთანაც ჰქონია. ახლა ცდილობენ, ვეფხია გოგილაშვილის ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანად წარმოჩენას. საამისოდ, გუშინ გარდაცვლილის ოჯახში მიიყვანეს ადგილობრივი სასულიერო პირი, რომელმაც ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ ოჯახის წევრებმა მას აჩვენეს სამედიცინო დასკვნა, გოგილაშვილის ფსიქიკური აშლილობის შესახებ. სამწუხაროა, რომ ამ სიბინძურეს სასულიერო პირის ხელით აკეთებენ. კატეგორიულად ვაცხადებ, არანაირი სამედიცინო დასკვნა არ არსებობს! თავგზააბნეულებს ელემენტარულად დაავიწყდათ, რომ ვეფხია გოგილაშვილს, როგორც მძღოლს, აქვს მართვის მოწმობა, რისთვისაც საჭიროა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა. მომიტევოს ვეფხიას ოჯახმა, გარდაცვლილის გიჟად გამოცხადება უფრო მეტი ცოდვაა თუ თვითმკვლელობა, ეს უფალმა განსაჯოს!

რაც შეეხება დაჯარიმებულ მძღოლებს, როგორც მერიის მოსაკრებლების სამსახურის მიერ (უნებართვოდ მგზავრთა გადაყვანისათვის), ასევე ზოგიერთი დაკავებული მძღოლისთვის სასამართლოს მიერ ჯარიმის შეფარდებას, ყველა ამ ჯარიმას მძღოლები არ გადაიხდიან, შესაბამის ოქმებს გავასაჩივრებ განსჯად სასამართლოში და ასევე გამოვიყენებ საპროკურორო პროტესტის ინსტიტუტს, რაც პროცედურის დასრულებამდე ჯარიმის გადახდის ვალდებულებას აჩერებს. ხოლო რუსთავის მერად არჩევის შემდეგ, უფრო მეტი სიცხადე მიეცემა ყველა ამ თვითნებობასა და უსამართლობას პირადად ჩემს მიერ! გთხოვთ, ჩემი პოზიცია სიტყვა სიტყვით გამოაქვეყნოთ“.

რუსთავში მომხდარ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით კომპანია „ინტერტრანსმა“ სპეციალური განცხადება გაავრცელა. ამ ფონზე, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რუსთავში ჩადის, თბილისი-რუსთავის სამარშრუტო ხაზების მძღოლების პრობლემის მოგვარებასა და მათ დაუყოვნებლივ დასაქმება მოითხოვს. მთავრობის მეთაური ქვემო ქართლის გუბერნატორს გიორგი მღებრიშვილსა და რუსთავის მერობის მოვალეობის შემსრულებელ დავით ჯიქიას შეხვდა.

„ჩემი გუბერნიაში სტუმრობის მიზეზია გამოცხადებული ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა შპს „ინტერტრანსმა“. მაქვს კითხვა: რატომ დგას ხალხი ქუჩაში, რატომ ვერ მოახერხა კომპანიამ ხალხის დასაქმება და რატომ ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას? ჩემთვის ყველა კომპანია და ბიზნესი ძვირფასია, მაგრამ უპირველესია თითოეული ადამიანი. არც ერთი ადამიანი არ უნდა დაიჩაგროს, კეთილი ინებოს კომპანიამ და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედეთ კანონის შესაბამისად. ვიცი, რომ აღნიშნული ფაქტით შეწუხებულია მერის მოვალეობის შემსრულებელი და გუბერნატორი. მოვუწოდებ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედეთ კანონის შესაბამისად“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ქვემო ქართლის გუბერნატორის გიორგი მღებრიშვილის თქმით, იგი სრულიად იზიარებს პრემიერის პათოსსა და მოსაზრებას. თავის მხრივ, „ინტერტრანსის“ დირექტორი მამუკა მუმლაძე აცხადებს, რომ კომპანიას ვალდებულებებთან დაკავშირებით გეგმა აქვს გაწერილი, რაც წარმატებით შესრულდება: **„პირობების თანახმად, კომპანიას 25 მაისამდე აქვს ვადა, რომ ყველა ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს და შეასრულებს კიდეც. ყველა ის ადამიანი, რომელიც აღნიშნულ მარშრუტზე კონკურსამდე მუშაობდა, აუცილებლად დასაქმდება“.**

გაუპატიურებაში ბრალდებულ ერაყის მოქალაქეებს პატიმრობა შეუფარდეს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თბილისის საქალაქო სასამართლომ, არასრულწლოვნის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულ ერაყის მოქალაქეებს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. როგორც სასამართლოში განმარტეს, „ორ მათგანს ბრალად ედებოდა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ანუ მამათმავლობა და სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ჯგუფურად. რაც შეეხება მესამე მათგანს, მას ბრალად დანაშაულის შეუტყობინებლობა ედება“.

მანამდე, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულმა შოთა აფხაიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული პირი, **„საქართველოში აშშ-ს ელჩის, რიჩარდ ნორლანდის დაჟინებული მოთხოვნით გაათავისუფლეს“.** შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, აღნიშნულ დანაშაულში ბრალდებული ერაყის სამივე მოქალაქე დაკავებულია: **„გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ფაქტზე დაკავებული ერაყის ერთ-ერთი მოქალაქე გათავისუფლებულია, სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნულ დანაშაულში ბრალდებული ერაყის სამივე მოქალაქე დაკავებულია“.** თავის მხრივ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ – „მედიის განვითარების ფონდმა“, „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში „კრიმინალური ფაქტის ქსენოფობიურ კონტექსტში გაშუქების გამო“ შეშფოთება გამოთქვა:

„გვინდა, შეშფოთება გამოვხატოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის 8-საათიან „მოამბეში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე ეჭვმიტანილი ერაყის მოქალაქის დაკავებას შეეხება. ვთვლით, რომ ერთი კრიმინალური ფაქტის მთელ ჯგუფთან გაიგივება, მით უფრო ზოგადად უმცირესობებთან, ყოვლად დაუშვებელია და წარმოადგენს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე (1) მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც, „მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან“. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსიც, რომლის მე-15.1 მუხლი შემდეგ სტანდარტს აწესებს: „განასხვავეთ უმცირესობის ინდივიდუალური წარმომადგენლისა და ზოგადად მთელი უმცირესობის საქმიანობა. ნუ გააიგივებთ ინდივიდს მთელ უმცირესობასთან“. ასევე საყურადღებოა მე-15.2 მუხლი, რომლის თანახმად, უმცირესობის მიერ ჩადენილი დანაშაული არ უნდა გაშუქდეს ისეთი ფორმით, რომელიც „მედიაპანიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ჟურნალისტი, ადგილობრივი მაცხოვრებლების კომენტარების საფუძველზე, სარედაქციო ტექსტში ამ კონკრეტული ინციდენტის განზოგადებას უმცირესობებზე ახდენს, რითაც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა მოძალადეებად წარმოჩენა ხდება. მსგავს შეფასებას უფრო ამძაფრებს თანმხლები შავკანიანთა ვიზუალური მასალა, რაც კადრში შემთხვევით მოხვედრილ ადამიანთა ძალადობრივ ქმედებასთან ასოცირებას იწვევს“.

არასამთავრობოების განცხადება ეხებოდა ასევე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული შოთა აფხაიძის მიერ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ სტატუსსაც. ჩვენთან საუბრისას, შოთა აფხაიძე ადასტურებს, რომ ამ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს, სადაც ეჭვმიტანილი ერაყელის გაშვების ფაქტი არავინ დაადასტურა. მისივე თქმით, კითხვისნიშნები მაინც რჩება და ამიტომ მონიტორინგის ჯგუფი უნდა შეუშვან იზოლატორში და აჩვენონ ეჭვმიტანილები: **„როდესაც ჩვენი მოთხოვნა გავრცელდა, ინფორმაციის მონიტორინგის ცენტრმა და დანარჩენმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის „გურია ნიუსს“ ლამის ქსენოფობიაში ბრალი დასდეს, ვერ ვხდები, რა იყო მიზეზი; რა ნახეს აქ ქსენოფობიური და მიუღებელი? საუბარია სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულზე, რაც ერაყელების მიერ ჩადენილი იქნა. რა მნიშვნელობა აქვს, ამ დანაშაულს ერაყელი ჩაიდენს, რუსი, ბერძენი, თუ სომეხი. საუბარი იმაზე გვქონდა, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამი ერაყელიდან ერთ-ერთი გაათავისუფლეს, რომელიც ერაყის სამხედრო კონტრდაზვერვის თანამშრომელი იყო. რახან აქ საუბარია აშშ-ს საელჩოს სამხედრო ატაშეს საქმეში ჩარევაზე, არ გვქონდა უფლება, ეს განცხადება გაგვეკეთებინა? სკანდალი საქმეში სწორედ ამ ჩარევას მოჰყვა. გამოდის, თუ დანაშაული დაფარული ან ლობირებულ-შემსუბუქებული იქნება პროდასავლური ძალების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატების მიერ, ამაზე თვალი უნდა დავხუჭოთ, ყური დავიხშოთ და რეაგირება არ მოვახდინოთ? ამ კონკრეტული შემთხვევაში, საუბარი რუს დიპლომატზე რომ ყოფილიყო, რომელიც დამნაშავეს დაეხმარებოდა, ამაზე არავინ არაფერს იტყოდა და პირიქით, მასზე მასობრივი შეტევა დაიწყებოდა, ამიტომ სახეზე მიკერძოება და ორმაგი სტანდარტი გვაქვს. ვიქრობ, პოლიტიკური იდეოლოგიებისა და ხედვების გამო, კრიმინალსა და სისხლის სამართლის დანაშაულთან შერიგება არ უნდა ხდებოდეს. დემოკრატია და ყველას უფლების დაცვა თუ გვინდა, რა მნიშვნელობა აქვს, ვის მიერ იქნება დანაშაული ჩადენილი, ყველამ საკადრისი სასჯელი უნდა მიიღოს, არც ერთი დიპლომატის პირადი მოსაზრებები გათვალისწინებული არ უნდა ხდებოდეს.**

რაც შეეხება იმას, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ დადასტურდა, ამაზე მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობითი და ზეპირსიტყვიერი პასუხები გვაქვს. რეალურად, არ შევსულვართ იმ საკანში და არ გვინახავს ორი მოქალაქე, რომელიც უშუალოდ ძალადობაშია ეჭვმიტანილი და მესამე, რომელმაც დანაშაული დაფარა. ხომ შეიძლება, დანაშაულის დამფარავი იყოს გაშვებული, ამიტომ შეუშვან საკანში მონიტორინგის ჯგუფი და აჩვენონ, იმყოფებიან თუ არა იზოლატორში, ამ მოთხოვნაში მიუღებელი რა არის? იქნებ, შსს სიმართლეს არ გვეუბნება, აქ სამინისტროსადმი ჩვენი ნდობის საკითხი არ დგას, ხომ შეიძლება ისეთი გავლენიანი პოლიტიკური ძალა იყოს ამაში ჩარეული, რომელსაც არ აწყობს ვითარების გართულება“.

შეგახსენებთ, რომ შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა 1993 წელს დაბადებული ერაყის მოქალაქე სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე, დროებით საცხოვრებელ ბინაში არასრულწლოვანი ბიჭი მოტყუებით მიიყვანა, შემდეგ ძალის გამოყენებით მასთან სქესობრივი კონტაქტი დაამყარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოგვიანებით დაზარალებულმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე დააკავეს. მოგვიანებით, სამართალდამცავებმა ამავე საქმესთან დაკავშირებით ერაყის კიდევ ორი მოქალაქე დააკავეს. გამოძიება სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

კანადელი მეცნიერების სენსაციური აღმოჩენა — კიბოს იაფფასიანი წამალი ამარცხებს

რატომ არ ინტერესდებიან მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები ნივთიერებათა ცვლის დარღვევის საწინააღმდეგო პრეპარატ „დიქლორაცეტატით“, რომელიც კიბოს უჯრედებსაც ამარცხებს



წლებია, მეცნიერები კიბოს წამლის მიგნებას ცდილობენ, უკვე არაერთი პრეპარატი თუ მეთოდი გამოსცადეს, ამ ვერაგი დაავადების წინააღმდეგ, ახლახან კი, კანადელმა მეცნიერებმა მედიცინაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს — კიბო მარტივი მედიკამენტით განკურნეს, მაგრამ ამ ფაქტით არც მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები დაინტერესდნენ და არც საერთაშორისო მედია.

კანადაში, ედმონტონის უნივერსიტეტის, „ალბერტის“ მკვლევარების აღმოჩენისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მეთოდი, ძალიან მარტივია და საკმაოდ იაფფასიანი პრეპარატით, დიქლორაცეტატით (dichloroacetate) მკურნალობას ეფუძნება. ამ მედიკამენტს ექიმები, ძირითადად, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს უნიშნავენ პაციენტებს და შესაბამისად, მას არც გვერდითი მოვლენები აქვს.

პრეპარატი დიქლორაცეტატი არც დაპატენტებას საჭიროებს — მისი შეძენა-მიღება, პლანეტის ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ადამიანს, საკმაოდ იაფად შეუძლია. ეს ნამდვილი გადატრიალებაა მედიცინაში — პაციენტებს, აღარ მოუწევთ კიბოს საწინააღმდეგო ძვირადღირებული პრეპარატის შესაძენად საჭირო თანხის მოძიება და არც სხვადასხვა თერაპიის ჩატარების დროს გამოწვეული დისკომფორტის გადატანა.

კანადელმა მეცნიერებმა დიქლორაცეტატი ადამიანის უჯრედებზე უკვე გამოსცადეს. პრეპარატმა მოკლა ფილტვის, ტვინისა და სარძევე ჯირკვლების კიბოს უჯრედები, თანაც ისე, რომ ჯანმრთელობისთვის ზიანი არ მიუყენებია. ხანგრძლივი ექსპერიმენტი კი იმ ვირთხებზე ჩატარდა, რომლებსაც, სიმსივნის გართულებული ფორმა ჰქონდათ. მათ ორგანიზმში კიბოს უჯრედების რაოდენობა კატასტროფულად მას შემდეგ შემცირდა, რაც მღრღნელებს დიქლორაცეტიტით გაჯერებული წყალი დაალევინეს.

ადამიანის ორგანიზმში არსებობს კიბოსსაწინააღმდეგო ბუნებრივი უჯრედები, მიტოქონდრიები, მაგრამ ასამოქმედებლად, მათი გააქტიურებაა საჭირო. მეცნიერები მიეჩვივნენ იფიქრონ, რომ მიტოქონდრიები „დაზიანებულია“ და შესაბამისად, ეფექტურად ვერ იბრძვის კიბოს წინააღმდეგ. ამ ფონზე, ისინი მობილიზებულნი არიან გლიკოლიზზე (გლუკოზის უჟანგბადო დაშლის პროცესი), რომელიც ნაკლებად ეფექტურია, მაგრამ უფრო ადვილად აქტიურდება ორგანიზმში. სწორედ ამიტომ გააკეთეს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისას მწარმოებლებმა არჩევანი გლუკოლიზზე. არადა, დიქლორაცეტატით მკურნალობის მეთოდი სწორედ მიტოქონდრიების გააქტიურებას ეფუძნება. პრეპარატი „აღვიძებს“ ამ უჯრედებს, რომლებიც იწყებს ბრძოლას კიბოს უჯრედების წინააღმდეგ.

პრეპარატი ხელმისაწვდომია ყველასთვის, მისი გამოყენების ტექნიკა კი ძალიან მარტივია. თუ ასეა, რატომ არ დაინტერესდნენ ამ აღმოჩენით მსხვილი ფარმაცევტული კომპანიები და მედიასაშუალებები? ფარმაცევტული კომპანიები არ აფინანსებენ კვლევაში ამ პრეპარატის ჩართვას მარტივი მიზეზით — დიქლორაცეტატით მკურნალობის მეთოდი არ მოითხოვს და არც შეიძლება დააპატენტო. პატენტის გარეშე კი, ისინი ვერ მოახერხებენ, გააკეთონ ფული, ისე, როგორც ახლა აკეთებენ, მაგალითად, პატენტით შიდსის მკურნალობის დროს.

კანადელ მეცნიერები კი ცდილობენ, საერთაშორისო საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია თავის კვლევისა და აღმოჩენის შესახებ. იმედი აქვთ, რომ რომელიმე დამოუკიდებელი კომპანია ან წვრილი სტარტაპები მაინც აიტაცებენ ამ იდეას და დაიწყებენ პრეპარატის წარმოებას, რადგან მსხვილი კომპანიები ამ მეთოდს ალბათ კიდევ დიდხანს არ მიაქცევენ ყურადღებას.

„ვერსიანიუსი“

გამოკითხულთა 62% ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირად რჩება

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

5 მაისს, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის საველე სამუშაოები 26 მარტიდან 18 აპრილამდე ჩატარდა, ჯამში კი 3 942 მოქალაქე პირისპირ ინტერვიუს წესით, წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხა.

NDI მორიგი კვლევის შედეგებს აქვეყნებს

კვლევის შედეგების მიხედვით, პირთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიაა, შემცირდა. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 46% ფიქრობს, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები ვითარდება მაშინ, როდესაც NDI-ის მიერ, 2013 წლის ნოემბერში, გამოკითხულთა 54%-მა იმავე კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. შესაბამისად, 41%-მდე გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვიც, რომელთა აზრით, საქართველოში დემოკრატია არ არის. 2013 წლის ნოემბერში კი, ასე მხოლოდ რესპონდენტთა 35% ფიქრობდა.

გამოკითხულთა უმრავლესობა (49%) აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამუშაო ადგილების რაოდენობა საქართველოში არ შეცვლილა. 43% კი ფიქრობს, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ სამუშაო ადგილების რაოდენობა შემცირდა, 3%-ის აზრით — გაიზარდა. გამოკითხულთა 5%-ს აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი არ აქვს. ამასთან, გამოკითხულთა 67% თავს დასაქმებულად არ მიიჩნევს.

გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ რესპონდენტთა 69%-ის ოჯახი 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ იგივე მდგომარეობაშია, 19% კი, ფიქრობს, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში ვითარება გაუარესებულია, 13% – გაუმჯობესებული. ამასთან, გამოკითხულთა 33 % მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, 38% — ქვეყანაში ვითარება საერთოდ არ იცვლება, 12%-ის აზრით კი საქართველო, ძირითადად, არასწორი მიმართულებით ვითარდება. არადა, შარშან სექტემბერში გამოკითხულთა 36% ფიქრობდა, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდებოდა, 7% — ნამდვილად სწორი მიმართულებით.

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად კვლავ სამუშაო ადგილები რჩება. ამ აზრზე გამოკითხულთა 61%–ია. 37% მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებში ტერიტორიულ მთლიანობას, 30% კი სიღარიბეს ასახელებს. მნიშვნელოვან საკითხებს შორის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, პენსიები, ფასების ზრდა და ინფლაციაც ფიგურირებს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ბიძინა ივანიშვილის მიერ გიორგი მარგველაშვილისადმი გაჟღერებულ კრიტიკასაც გამოეხმაურა. კითხვაზე, ამართლებთ თუ არა ყოფილი პრემიერის განცხადებას, გამოკითხულთა უმრავლესობამ უარყოფითი პასუხი გასცა; კერძოდ, 40% არ ამართლებს, 35% - ამართლებს, 24%-ს კი კითხვაზე პასუხი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ ყოფილი პრემიერის მარგველაშვილისადმი კრიტიკას განსაკუთრებით თბილისში ამართლებენ — 41%. ამასთან, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კითხვაზე, იცოდნენ თუ არა მათ ბიძინა ივანიშვილის მიერ მარგველაშვილისადმი გამოთქმული კრიტიკის შესახებ, 73%-მა დადებითი პასუხი გასცა, 21%-მა კი, უარყოფითი, ხოლო 6%-მა კითხვაზე პასუხი არ გასცა.

კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 62% ფიქრობს, რომ ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირად რჩება, რასაც გამოკითხულთა 49% არ ამართლებს, 41% კი მიესალმება, 9%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის.

რაც შეეხება მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსების საკითხს, გამოკითხულთა 55% ამართლებს, რომ საპატრიარქო ბიუჯეტიდან 25 მლნ ლარით ფინანსდება, 21% — არა, 22%-ს კი კითხვაზე პასუხი საერთოდ არ აქვს. ამასთან, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგების თანახმად, აღმოჩნდა, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ გამოკითხულთა მხოლოდ 20%-სთვის იყო ცნობილი, 74%-ს კი ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

გამოკითხულთა უმეტესობა ელექტრონული პირადობის მოწმობების, ე.წ. ID ბარათების გაცემას ამართლებს. კითხვაზე, იცოდით თუ არა, რომ სახელმწიფო არსებული პირადობის მოწმობების ნაცვლად ელექტრონულ პირადობებს გასცემს, გამოკითხულთა 88%–მა დადებითი პასუხი გასცა. კვლევაში მონაწილეთა 43% კი, ამ ფაქტს ამართლებს, 33% — წინააღმდეგია, 24%–მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვა ქალაქებისა და სოფლებისგან განსხვავებით, ID ბარათების გაცემას განსაკუთრებით თბილისის მოსახლეობა არ ამართლებს.

კვლევის თანახმად გაზრდილია იმ ადამიანების რიცხვი, ვინც უმცირესობათა ჯგუფში სექსუალურ უმცირესობებსაც მოიაზრებს, თუმცა რესპონდენტთა 48% მიიჩნევს, რომ სექსუალური უმცირესობების დაცვა უმნიშვნელო ან სრულიად უმნიშვნელოა. უმცირესობათა უფლებების დაცვა მნიშვნელოვან საკითხად მხოლოდ 24%-მა დაასახელა. კითხვაზე, როდესაც უმცირესობის ჯგუფებზე ფიქრობთ, პირველ რიგში, რომელი ჯგუფი გახსენდებათ? პასუხები ასე გადანაწილდა: 26% – რელიგიური უმცირესობები, 25% – ეთნიკური უმცირესობები, 22% – სექსუალური უმცირესობები. წინა კვლევის შედეგების თანახმად კი სექსუალური უმცირესობები მეხუთე ადგილს იკავებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 65%-ს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება სურს, ხოლო 16% მიიჩნევს, რომ საქართველო ევრაზიულ კავშირში უნდა გაერთიანდეს. ასევე გამოკითხულთა 58%-ის აზრით, ევროკავშირსა და ნატო-სთან ინტეგრაციით საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, 20% მზადაა, ქვეყნის განვითარებისთვის რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, ევროინტეგრაციაზე უარი განაცხადოს.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით სოციოლოგიური გამოკითხვა კვლევა საქართველოს მასშტაბით ქართულად მოსაუბრე მოსახლეობას შორის გაიმართა, რომლის ცდომილება, დაახლოებით, +–2.1%–ია.

თვისებები, რომლითაც გამოირჩევიან კულტურული ადამიანები

ლეგენდარული რუსი დრამატურგი ანტონ ჩეხოვი 1886 წელს საკუთარი ძმისადმი მიწერილ წერილში განმარტავს 8 პირობას, რომელიც კულტურულმა ადამიანმა უნდა დააკმაყოფილოს.

„ძვირფასო ნიკოლაი, ხშირად გითქვამს, რომ ადამიანები ვერ გიგებენ. არც გოეთეს და არც ნიუტონს არ უთქვამთ მსგავსი რამ... მხოლოდ ქრისტე ამბობდა, მაგრამ ის საკუთარ მრწამსზე საუბრობდა და არა თავის თავზე... ადამიანებს ძალიან კარგად ესმით შენი და თუ თავად ვერ გაგიგია საკუთარი თავის, ეს მათი ბრალი არაა. მერწმუნე, როგორც ძმას, მესმის შენი და მთელი გულით ვგრძნობ შენს არსებას. ჩემი საკუთარი 5 თითივით ვიცი შენი კარგი თვისებები, ვაფასებ და დიდ პატივს ვცემ მათ. ვფიქრობ, სუფთა, დიდსულოვანი, არაეგოისტი ადამიანი ხარ. მზად ხარ, შენი სიკეთე ყველას გაუზიარო. შენს გულში ბოროტება და შური არ არსებობს. უბრალო, გულის ადამიანი ხარ, სანდო — ყოველგვარი ღვარძლისა და ბოროტების გარეშე და სხვის ბოროტებასაც არასოდეს იმახსოვრებ.

შენ, როგორც სხვა ადამიანები, ღვთისგან ბოძებული უნიკალური ნიჭით ხარ დაჯილდოებული. ეს ნიჭი მილიონში ერთს თუ ეძლევა და იგი გამოგარჩევს სხვა ადამიანებისგან... და მიუხედავად ყველაფრისა, ერთი ნაკლი გაქვს, რაც განაპირობებს იმას, რომ საკუთარი ადგილი ვერ გიპოვნია და, შესაბამისად, შენი უბედურებისა და წუხილის მთავარი მიზეზიც ესაა. დღეს მსურს გითხრა, რომ ეს ნაკლი კულტურის ნაკლებობაა. გთხოვ, მაპატიე... ცხოვრებას საკუთარი პირობები აქვს და თუ გსურს, განათლებულ ადამიანებს შორის კომფორტულად გრძნობდე თავს და ბედნიერი იყო, აუცილებლად უნდა ფლობდე კულტურის ხელოვნებას გარკვეულ დონემდე მაინც.

ჩემი აზრით, არსებობს პირობები, რომლებსაც კულტურული ადამიანი უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ისინი აფასებენ პიროვნულ თვისებებს და ამიტომაც ყოველთვის კეთილნი, თავაზიანნი და ზრდილნი არიან. ისინი მუდამ მზად არიან, ხელი გაუწოდონ სხვას. თუ ვინმესთან ერთად ცხოვრობენ, ამას წყალობად არ მიიჩნევენ და, როდესაც ტოვებენ ვინმეს, არასოდეს ამბობენ — „ვერავინ იცხოვრებს შენთან ერთად“.

2. ისინი მარტო უპოვართა მიმართ კი არ არიან სიბრალულით განმსჭვალულნი, არამედ გული სტკივათ იმის გამო, რასაც თვალით ვერ ხედავენ. ღამეებს ათევენ, რათა დაეხმარონ მას, ვისაც დახმარება სჭირდება, გადაიხადონ შვილებისა და ძმების სწავლის საფასური და უყიდონ ტანსაცმელი საკუთარ დედას.

3. ისინი პატივს სცემენ სხვის საკუთრებას და ყოველთვის უკან აბრუნებენ ვალს.

4. ისინი ყოველთვის გულწრფელები არიან და სძაგთ სიცრუე. უბრალო საგნებშიც კი არ იტყუებიან. მათ ესმით, რომ ტყუილი შეურაცხყოფაა მათი მსმენელისთვის. ისინი არ თამაშობენ და გარეთაც ისე იქცევიან, როგორც შინ. ყველაზე თავმდაბალი მეგობრის წინაშეც კი არ ცდილობენ თავის წარმოჩენას, ხშირად მხოლოდ ადამიანთა პატივისცემის გამო, ჩუმად არიან და საუბრობენ მაშინ, როცა საჭიროა.

5. ისინი თანაუგრძნობენ და არ ცდილობენ, სხვა ადამიანების ცხოვრებით თამაშს.

6. არ არიან მედიდურნი. არ ადარდებთ ისეთი ყალბი მარგალიტი, როგორიც საზოგადოებაში თავის წარმოჩენაა. არ ეხვევიან „შოუს მაყურებელთა” ქების ნისლში და, თუ ღირებული არაფერი გაუკეთებიათ, თავიც არ მოაქვთ, ვითომც დიდი რამე გააკეთეს. არ ცდილობენ, დაიკვეხონ ის, რაც არ გაუკეთებიათ. კულტურული ადამიანი მუდამ ცდილობს, თავი აარიდოს ბრბოს და, რამდენადაც შესაძლებელია, რეკლამაზეც უარს ამბობს. თვით კრილოვიც კი ამას ამბობდა: „დოქი რაც უფრო ცარიელია, მით მეტად ხმაურობს“.

7. თუ ნიჭი აქვთ, აფასებენ და პატივს სცემენ. ღვინოს, გარყვნილებასა და ქალებს არ ანაცვალებენ საკუთარ ტალანტს. ამაყობენ საკუთარი ნიჭით, თუმცა იმავდროულად, საკუთარი თავისადმი მომთხოვნიც არიან.

8. ცდილობენ, მშვენიერი გრძნობებით აავსონ ცხოვრება. არ შეუძლიათ, ტანსაცმლით დაწვნენ საწოლში, ბინძურად ჩაიცვან ანდა ზეთის საკვამურზე მოამზადონ სადილი. ცდილობენ, თავი შეიკავონ საკუთარი სექსუალური ინსტინქტების უხეშად გამოვლენისგან და რაც ქალში სურთ, მხოლოდ სექსი არაა... ისინი დღედაღამ არაყში არ ბანაობენ და ჭურჭელს არ ამსხვრევენ. იციან, რომ ღორები არ არიან და მხოლოდ თავისუფალ დროს სვამენ... მათ სურთ შეინარჩუნონ ჯანმრთელი სხეული და გონება.

აი, ასეთები არიან კულტურული ადამიანები და იმისთვის, რომ კულტურული გახდე, საკმარისი არაა „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ იკითხო ანდა ფაუსტის რომელიმე მონოლოგი დაიზუთხო.. არამედ, საჭიროა მუდმივი შრომა, დღედაღამ კითხვა, სწავლა, განვითარება და სურვილი... ამისათვის დახარჯული ყოველი წამი კი ძვირფასია. დაბრუნდი ჩვენთან, დაამსხვრიე არყის ბოთლი, დაჯექი და იკითხე... თუნდაც ტურგენევი, ვიცი, არ გაქვს წაკითხული. უნდა დაამარცხო საკუთარი უძლურება, ბავშვი აღარ ხარ. დარწმუნებული ვარ, მალე მოგინდება ამის გაკეთება! მე ველი ამ წამს... ჩვენ ყველანი ველით!“

თემო ბერიშვილი, ჟურნალი „ოთხი მოტივი“

კვიპროსზე ღალიის ქართული სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა

5 მაისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ნიკოლოზ ანთიძემ კვიპროსში ოფიციალური ვიზიტის შედეგები შეაჯამეს. ქართული დელეგაცია კვიპროსს 28-30 აპრილს სტუმრობდა. სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში რამდენიმე სამთავრობო დონის შეხვედრა და მნიშვნელოვანი პრეზენტაცია მოეწყო.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში 29 აპრილს პაფოსის დასახლებაში ღალიის ქართული სამონასტრო კომპლექსი გაიხსნა. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და კვიპროსის ინფრასტრუქტურისა და შრომის მინისტრმა მარიოს დემეტრიადესმა. ინაუგურაციის ცერემონიის წირვა არსინეოს ეპისკოპოსმა ნექტარიოსმა ჩაატარა, რომელსაც ქართველი ეპისკოპოსი, ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა, არქიეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი, პაფოსის ეპისკოპოსი გეორგიოსი და ქართველი მამები ესწრებოდნენ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით, 2006 წელს კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. სამუშაოები 2010 წლამდე გაგრძელდა და მას ქართველი არქეოლოგები კვიპროსის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ახორციელებდნენ. კვიპროსის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მონასტერი, სავარაუდოდ, X საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა მეფემ — დავით III-მ (ჩვ.წ.ა. 963-1001 წწ.) დააარსა. სიმდიდრით გამორჩეულ ამ მონასტერს ქართველი მეფეები მფარველობდნენ. იგი მოხსენიებულია შუა საუკუნეების როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ და ლათინურ წყაროებში. X-XV საუკუნეებში მონასტერში არსებობდა ხელნაწერთა განყოფილება, სადაც დაიწერა და ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა უამრავი წიგნი.

კვიპროსში სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს კულტურის მინისტრმა, გურამ ოდიშარიამ კვიპროსის კომუნიკაციისა და შრომის მინისტრის, მარიოს დემეტრიადესთან სპეციალური შეხვედრა გამართა, სადაც მხარეებმა ორი თვის წინ ორ ქვეყანას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის შესრულებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები განიხილეს. ქართული მხარის სურვილია, მონასტრის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების დროებით თბილისში, ეროვნულ მუზეუმში ჩამოტანა. ამ ინიციატივას კვიპროსის მხარე დათანხმდა და უახლოეს პერიოდში, მემორანდუმიდან გამომდინარე, დამატებითი ხელშეკრულება გაფორმდება. გურამ ოდიშარიამ საქართველოში ოფიციალურად მოიწვია კვიპროსის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე დესპო პილიდო. თბილისში ვიზიტისას, კვიპროსის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო უნივერსიტეტში მასტერკლასს ჩაატარებს.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრი და ქართული დელეგაციის წევრები კვიპროსის მთავარეპისკოპოსს, ხრიზოსტომოს II-ს შეხვდნენ. შეხვედრისას მინისტრმა ხაზგასმით გამოჰყო კვიპროსის ეკლესიის როლი ღალიის ქართული მონასტრის აღდგენის საქმეში და მთავარეპისკოპოსს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. ქართული დელეგაციას ჰქონდა ოფიციალური შეხვედრები კვიპროსის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროშიც, სადაც ისაუბრეს ორი ქვეყნის უწყებების თანამშრომლობაზე, გაცვლით პროგრამებზე, ურთიერთობის ხარისხის დახვეწასა და სხვა თემატურ საკითხებზე.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვერსიანიული

საქართველოში ევროპის კვირეული გაიხსნა



5 მაისს საქართველოში ევროპის კვირეული დაიწყო. კონფერენცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ელჩი ფილიპ დიმიტროვმა გახსნეს. კვირეული ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებითა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით იმართება. მისი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხებზე საზოგადოების ცნობადობის ამაღლება.

ევროპის კვირეული გაიხსნა კონფერენციით — „ჩვენი ევროპული არჩევანი“, რომელიც ევროკავშირის თემაზე წინასწარ გამოცხადებული ესეების კონკურსისა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოცხადებული კონკურსის დასკვნით ფაზას წარმოადგენს. ღონისძიების ფარგლებში მოხდება კონკურსებში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოება, რის შემდეგაც ექსპერტებისა და სტუდენტების მონაწილეობით საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საკითხებზე დისკუსია გაიმართება.

ევროპის კვირეული წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილია. კვირეული 14 მაისამდე გაგრძელდება. მის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, ფერმერებთან, პრობაციონერებთან, სპორტული ტურნირები, გამოფენები და სხვა საინტერესო ღონისძიებები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სუდოკუ

ადვილი

		8	5		6			
				2				
6				8	7	4		
1	2				4			
	9	7				6	4	
			9				7	3
		5	2	9				7
				7				
			3		1	8		

სტანდარტი

		7			4			
		8		2				9
		3			8		6	2
3							7	
		5	7		3	4		
	1							5
4	7		9			8		
8				1		3		
			8			2		

რთული

	1			2		7		
		9			6			
3	2		1					
			5	3			8	9
	9	8		6		5	4	
2	5			4	8			
					3		6	7
			4			9		
		1		9			3	

ექსპერტი

3	8					6	9	
				4	3			7
7				6				5
							2	
5			1	2	9			6
	1							
4				5				1
9			4	7				
	5	3					7	8

რამდენ ხანს გრძელდება სიყვარული?

სიყვარული სამ წელიწადს ცოცხლობს — გვიმტკიცებს ცნობილი ფრანგი მწერალი. რა არის ეს? მხატვრული ფრაზა თუ რეალობა? ამის გარკვევას შეეცადნენ მექსიკის უნივერსიტეტის მკვლევარები. რომლებიც აცხადებენ, რომ სიყვარული მხოლოდ ოთხ წელიწადს გრძელდება. საქმე ისაა, რომ მედიკოსები ამ გრძნობას განიხილავენ, როგორც დროებით აშლილობას — თავსმოხვეული მდგომარეობის სინდრომს. ფიზიოლოგიური სიყვარული წარმოიშობა იმის გამო, რომ ადამიანის ტვინი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც გვაიძულებს, თავი „მეცხრე ცაზე“ ვიგრძნოთ, მუდმივად საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნის სურვილი გვქონდეს, თუმცა სწავლულები გვიმტკიცებენ, რომ ეს რეაქცია ოთხ წელზე მეტს ვერ ძლებს — ასეთია ადამიანის ორგანიზმის თავისებურება. აი, იტალიელი მკვლევარები კი მზად არიან, უფრო ადრე „დამარხონ“ ეს ნაზი გრძნობა და მისთვის მხოლოდ ერთ წელიწადს იმეტებენ. მათ დაადგინეს, რომ სასიყვარულო ეიფორიას იწვევს ცილა NGF. სისხლში მისი კონცენტრაცია განსაკუთრებით მაღალი ახალდაქორწინებულებშია, ხოლო ერთი წლის შემდეგ ის ნორმას უბრუნდება.

თეთრი ღვინო _ კბილების მტერი

თეთრი ღვინის სიყვარული და მისი ხშირი მიღება, შესაძლოა, ცუდად აისახოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ კი კბილებზე. გერმანიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მკვლევარები აცხადებენ, რომ თეთრ ღვინოს შეუძლია კბილის ემალს გაცილებით მეტი ზიანი მიაყენოს, ვიდრე წითელს. საქმე აქ ყურძნის მოკრეფის დროსა და ადგილში არ არის, არც ალკოჰოლში, არამედ აქტიურ მჟავიანობაში, რაც ამ სასმელს ახასიათებს და ემალთან კონტაქტში შედის. ამასთან, სწავლულთა თქმით, თეთრ ღვინოსთან ერთად ყველის მირთმევა რამდენამდე ამსუბუქებს ნეგატიურ ეფექტს პროდუქტში კალციუმის დიდი შემცველობის გამო. ლაბორატორიული ცდებისას გერმანელი მეცნიერები თეთრ ღვინოში კბილებს მთელი დღით ათავსებდნენ და ემალი, რომელიც კალციუმისა თუ სხვა მინერალური ნივთიერებისგან შედგება, საკმაოდ დარბილდა.

მეტროს სადგურს სურნელით იცნობენ

ტოკიოს მეტროპოლიტენის ცენტრალურ წრიულ ხაზზე, 30 სადგურს შესაძლოა, საკუთარი სურნელი გაუჩნდეს, რათა დაკავებულმა მგზავრებმა ადვილად მოახერხონ ორიენტირება მიწისქვეშეთში. „ინფორმატორი არომატის“ იდეა EkiKA-ს ეკუთვნის — სარეკლამო სააგენტომ ამ უჩვეულო პროექტზე მუშაობა 2000 წლიდან დაიწყო, როცა დავალებული ჰქონდათ ვაგონების არომატიზაციის პროექტის შემუშავება სპეციალური სარეკლამო კამპანიისთვის. სპეციალისტს სუნის სისტემა უნდა შეემუშავებინა, რომელიც პოტენციურ კლიენტს მიიზიდავდა მეტროპოლიტენის სადგურებზე განთავსებულ სავაჭრო ზონებში. კომპანიამ მოახერხა არომატების ეფექტურად გამოყენება, რომელიც არ რჩება ტანსაცმელზე. ასე რომ, ყველა ძირითადი პრობლემა, რომელიც პროექტს აფერხებდა, უკვე გადაჭრილია და სავსებით შესაძლებელია, უახლოეს მომავალში იაპონელებმა ტოკიოს მეტროში ორიენტირება პრაქტიკულად თვალდახუჭულებმა შეძლონ, ჯერჯერობით კი, ფირმა გამოკითხვას ატარებს იმის გასარკვევად, რომელ სადგურს როგორი არომატი უფრო მოუხდება.

ყველაზე მძიმე დღე სამშაბათია

როგორც ჩანს, ცდებიან ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ კვირის ყველაზე მძიმე დღე ორშაბათია. ბრიტანელმა სწავლულებმა ცოტა ხნის წინ განაცხადეს, რომ სწორედ ორშაბათს, დაახლოებით დილის ათ საათზე ადამიანების უმრავლესობა მაღალ შრომისუნარიანობასა და ტვინის აქტიურობას ავლენს. ამას ხელს უწყობს დასვენების დღეები, რაც „გადატვირთვის“ საშუალებას იძლევა. ასეთი პიკის შემდეგ, ყურადღების კონცენტრაცია და შრომის პროდუქტიულობა თანდათან იკლებს და უკვე სამშაბათს, 16:00 საათზე ეს მაჩვენებელი მინიმუმს აღწევს, ამიტომ სწავლულები გვირჩევენ, ორშაბათს დილას დავგეგმოთ მნიშვნელოვანი საქმე, რაც დიდ ყურადღებას მოითხოვს, სამშაბათის მეორე ნახევარი კი, შეგვიძლია სამართლიანად მივიჩნიოთ სამუშაო კვირის ყველაზე მძიმე პერიოდად, თუმცა, თუ კვირის ყველა დღე მაინც დაძაბულია, შეგიძლიათ შეეცადოთ ტვინის გააქტიურებას და ამისთვის სპეციალისტებმა რჩევებიც არ დაიშურეს: პირველ რიგში, ტვინს კოფეინი და ტეანინი ესაჭიროება. ეს ნივთიერებები მის სტიმულირებას ახდენს, ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრების პროცესს, თუმცა, თუ დღის განმავლობაში რამდენიმე ფინჯან ყავას მიირთმევთ, ამით შესაძლოა ნერვულმა დაძაბულობამ პიკს მიაღწიოს; ტეანინი — ამინომჟავაა, რომელიც ამცირებს ფორიაქის შეგრძნებას იწვევს, ამიტომ ოპტიმალური „საოფისე“ სასმელი მწვანე ან შავი ჩაია, რომელშიც კოფეინისა და ტეანინის ადამიანისთვის ოპტიმალური კომბინაციაა.

გაკვეთილებს ტყეში ჩაატარებენ

ჩინეთში, ჰუბეის პროვინციის ერთ-ერთ სასწავლო დაწესებულებაში სასკოლო მერხები გარეთ გაიტანეს — მოსწავლეები გაკვეთილებს ტყეში დაესწრებიან. პედაგოგთა აზრით, ზაფხულის რამდენიმე კვირა მოსწავლეებისთვის დამქანცველი იქნება და ბავშვები სიცხის გამო დავალებებს სათანადოდ ვერ შეასრულებენ. როდესაც ბუნება ასეთი ლამაზი ამინდით გვანებივრებს, შენობაში მუშაობა სასჯელია, ბუნებაში ყოფნა კი დადებითად მოქმედებს როგორც სხეულზე, ასევე გონებაზე. მერხებიც ერთმანეთისგან შორს დგას, მეტი სივრცე შეიქმნა და შესანიშნავი ხედია. მოსწავლეებისთვის სასიამოვნო და ნაკლებად სტრესული იქნება წლის ბოლოს შემაჯამებელი ტესტებისა და გამოცდების ჩაბარება, — აცხადებს სკოლის დირექტორი.

ჩვილმა მამა დააპატიმრებინა

კურიოზული ინციდენტი მოხდა კანადის ერთ-ერთ ქალაქში — 11 თვის ბავშვმა, რომელიც ტელეფონით თამაშობდა, შემთხვევით სამაშველო სამსახურში — 911 დარეკა. მაშველები დააფიქრა ამ უცნაურმა ზარმა, რადგან აბონენტს ხმა არ მოუღია, მისამართის დადგენის შემდეგ კი 911-ის წარმომადგენლებმა სიგნალი პოლიციას გადასცეს. შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავებს კარი გაოცებულმა მამაკაცმა გაუღო, რომელიც ამტკიცებდა, არავინ გამომიძახიაო. ანონიმური ზარის საიდუმლო მაშინ გაირკვა, როცა ოთახში ტელეფონით მოთამაშე ჩვილი დაინახეს. ყველაფერი კარგად დასრულდებოდა, რომ არა ბინის დათვალიერება. სამართალდამცველებმა ორ დაკეტილ ოთახში 500 ძირი კანაფი აღმოაჩინეს და ჩვილის მამა ნარკოტიკის წარმოებისთვის დააკავეს.

1.თხევადი საპონი თმის დასაბანად
2. მუქი ფერის ლუდი
3. ვარსქენის მეუღლე
4. მდინარის დაკლაკნილი კალაპოტი
5. უნაგირის ნაწილი
6. დაუშლელი გამოთ. ამა თუ იმ ენაში
7. მოკრივეთა საგარჯიშო „მსხალი“
8. ნამდვილად არსებული ნივთი
9. „ტრაგედიის მამა“
10. ტბა ალასკაზე
11. თურქმენეთის დედაქალაქი
12.კეთილთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნი
13. ოქროს ლათინური სახელწოდება
14.ქალაქი რუს. უკიდ. ჩრდილოეთში
15.სისხლძარღვების სანათურის გაუვალობის შედეგად გაჩენილი ქსოვილის კვდომის კერა
16.ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსანი
17. რუსი ფერმწერი
18. „მობი დიკის“ ავტორი
19. დეკორატიული ყვავილი
20.შუააზიელთა ქეჩის კარავი
21.ფრანგი მსახიობი
22.ზნე, ხასიათი
23. ისტორიის მუზა
24. ქალაქი ხორვატიაში
25.ფერადი ზოლი სამხედროს შარვალზე
26.გზის საზიდარი ურემი (საბა)
27. ინგლისის საფეხბურ. კლუბი
28. მოძრაობის კოორდ. დარღვევა
29. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მწვრთნელი
30. დიდი რუსი ბალერინა
31. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობაში
32. ბატკნის მოგების დრო
33. მდინარე ვიეტნამში
34. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
35. სპორტული ორთაბრძოლა
36. ესპანეთის საფეხბურ. კლუბი
37. ინგლისის საინფორმაც. სააგენტო
38. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა
39.მალის დედაქალაქი
40.ყირგიზ. ეპოსი
41. ფერმწერი ... გოგენი
42.შექსპირის მეფე
43.ნოტიო ფქვილი
44. ცხენების ჯოგი
45. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
46.გლადიატორთა საბრძოლო მოედანი
47.რეგულარული შემოს. კაპიტალიდან
48. მრავალშრიანი ფანერა
49. კოლუმბიელი მწერალი
50. არაბული ფლეიტა
51. „ადიდასის“ მოქიშპე firma
52.ფოტომოდელი ... სილვერსტოუნი
53. ამერიკული ბანქოს თამაში
54.ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
55. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
56ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში
57. ნაბიჯი ბალეტში
58.კუს სახელი „ოქროს გასაღებში“
59.ბრუნეის დედაქალ. ...-სერიბეგავანი
60. ხელოვნური საერთაშ. ენა
61ყვავილების დაწყობის იაპონური ხელოვნება
62. ჯოტია ცაავას სატრფო „რეკორდში“
63.ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა

„სიყვარულის ფურგონი” წყვილისთვის

კალიფორნიაში, ოკლენდის ქუჩებში „სიყვარულის ფურგონი“ ივლის, რომელიც შეუძლია, ნებისმიერმა მსურველმა იქირაოს და არასტანდარტულ, ინტიმურ ვითარებაში გაატაროს დრო პარტნიორთან. პაემნების მოძრავი ოთახი, არტპროექტის სახით, დიზაინერმა სპაი ემერსონმა შექმნა. ფურგონის შიგთავსი მინიმუმამდეა დაყვანილი, ყოველი არენდატორის შემდეგ კი კომპანია Hook Up Truck პირობას დებს, რომ „ოთახში“ შესაშურ სისუფთავეს დაამყარებს. „სასიყვარულო ბუდით“ მომსახურება 75 დოლარიდან იწყება (30 წუთი — გაქირავების მინიმალური დროა) და 2,5 ათას დოლარს აღწევს 5-საათიანი სეირნობისთვის. როგორც იდეის ავტორი აცხადებს, უკვე მიიღო მრავალრიცხოვანი შეკვეთა სხვადასხვა ადამიანისგან. ეს არიან მარტოხელა დედები, ის ახალგაზრდები, ვინც საცხოვრებელს მეზობელთან ერთად იყოფს და მოკლებულია პირად ცხოვრებას, ასევე საქმიანი ადამიანები, რომელთაც შესვენების დროს განტვირთვა სჭირდებათ. ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ფურგონი ოკლენდისა და სან-ფრანცისკოს ქუჩებში ივლის. კომპანია მსურველებს აფრთხილებს, რომ შეუძლიათ ერთად მხოლოდ ორი კლიენტი მიიღონ 21 წელს ზემოთ, ბავშვები და ცხოველები კი ფურგონში არ დაიშვებიან.

მძარცველებმა ბუტერბროდი წაართვეს

უჩვეულო ძარცვა მოხდა ფილადელფიაში — შეიარაღებული ადამიანები თავს დაესხნენ მოზარდს და ბუტერბროდი წაართვეს. ინციდენტი ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე მოხდა. ორი მამაკაცი მივიდა 13 წლის ადგილობრივ მცხოვრებთან, თავზე პისტოლეტი მიაბჯინეს და ჯიბეების ამობრუნება მოსთხოვეს. არ გაინძრე, თორემ აქვე მიგაცხრილავ, — დაემუქრა კიდეც ერთ-ერთი ყაჩაღი ბიჭს, მაგრამ დამნაშავეებმა მოზარდს მობილური ტელეფონი კი არ წაართვეს, მხოლოდ ჰამბურგერით დაკმაყოფილდნენ, მერე იქვე მდგარ მანქანაში ჩასხდნენ და გაუჩინარდნენ. შეშინებულმა მსხვერპლმა პოლიციაში დარეკა და შედეგად ბუტერბროდის ქურდები მალევე დააკავეს, თუმცა რა იყო ამ თავდასხმის მოტივი, ჯერჯერობით უცნობია.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ფეხსაცმელი 1000-წლიანი ტრადიციით

ბრიტანელმა დიზაინერმა კრის შელისმა მსოფლიოში ყველაზე გამძლე ქუსლიანი ფეხსაცმელი შექმნა, რომლის უცვეთობის გარანტიაც ათასი წელია. ნოვატორმა თავის ქმნილებისთვის უჟანგავი ფოლადი და ვერცხლი გამოიყენა. შელისი ამტკიცებს, რომ გარდა სიმტკიცისა, ფეხსაცმელი ყველაზე მოსახერხებელიც იქნება და მისი შეძენა მსურველს 1600 დოლარი დაუჯდება. გამოყენებული მასალის წყალობით, 48 წლის შელისის მიერ მოფიქრებულ ფეხსაცმელს არასოდეს დასჭირდება შეკეთება. ფეხსაცმელი, რომელსაც Riviera უწოდეს, მაღალი ორთოპედიული სტანდარტების მიხედვით დამზადდა, ასე რომ, მისი ტარება კომფორტულად დღეში 10 საათზე მეტხანს შეიძლება. კრისი ამ მეტალის ფეხსაცმელზე ორი წლის განმავლობაში მუშაობდა და საბოლოო შედეგით კმაყოფილია.

სუდოკუ

ადვილი

				4				
	3	2			7	6		
		8		5	3		2	
	5	9			2			3
	1						7	
3			8			9	6	
	8		1	6		7		
		1	5			8	4	
				2				

სტანდარტი

	2				9		5	
4			2			3	1	
3				1	8			
7						8		
		4		3		2		
		9						6
			5	8				9
	8	7			1			3
	1		9				8	

რთული

	8		3				9	7
5			1	2		8	6	
					7			2
	3						8	5
7	6						2	
4			2					
	9	1		5	4			6
6	5				3		7	

ექსპერტი

			3		1		5	
		3						2
8				2		1		
		2	7		5			
7		4		9		8		1
			8		6	7		
		9		3				7
4						3		
	7		9		2			

რატომ უნდა ვსვათ წყალი

ორგანიზმში წყლის არასაკმარისი რაოდენობა ასთმას, ალერგიას, ჰიპერტონიას, ჭარბ წონასა და დეპრესიას იწვევს. ადამიანი საკმაოდ მწვავედ რეაგირებს ორგანიზმში წყლის ბალანსის დარღვევაზე — ის ხომ მის გარეშე მხოლოდ რამდენიმე დღე ძლებს. ორგანიზმში წყლის დეფიციტს ქრონიკულ გაუწყლოებას უწოდებენ და მრავალი დაავადების მიზეზია. სითხის 2%-ის დაკარგვისას, რაც დაახლოებით 1.-1,5 ლიტრს უდრის, ადამიანს უჩნდება წყურვილის შეგრძნება, 6-8%-ის დაკარგვისას კანი ექერცლება, პირი უშრება და გონება ებინდება. წყლის უკმარისობამ თუ 10%ს მიაღწია, იწყება ჰალუცინაცია, ძნელდება ყლაპვა, სითხის 12%-ის დანაკარგი კი უკვე სიკვდილს იწვევს.

წყლის არასაკმარისი რაოდენობა არღვევს ორგანიზმის ცხოველმოქმედებას, თავს იჩენს დაღლილობის შეგრძნება და მცირდება შრომისუნარიანობა, ირღვევა საჭმლის მონელების პროცესი, სისხლი ბლანტი ხდება, რაც თრომბს წარმოშობს; თანაც სქელი სისხლი ცუდად აწვდის საკვებს ორგანოებს, ზიანდება სისხლძარღვები, კუნთები და სახსრები. წყლის გარეშე წარმოუდგენელია ორგანიზმისა და გარემოს შორის სითბოს ცვლა, სხეულის ტემპერატურის მუდმივობის შენარჩუნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ტვინის 75%-ს წყალი შეადგენს, შესაბამისად, გაუწყლოება ტვინის უჯრედებისთვის სტრესია. სითხის საკმარისი რაოდენობის მიღება ცხოვრების ჯანსაღი წესის ერთ-ერთი მთავარი პირობაა და თირკმელში ნალექის წარმოქმნის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. გარდა ამისა, წყალი სახსრების ბიოლოგიური საპოხი და ზურგის ტვინის ამორტიზატორია, ხელს უწყობს კანის ელასტიურობის შენარჩუნებას, აფერხებს ცხიმების დაგროვებას, არეგულირებს არტერიულ წნევას, სისხლში ქოლესტერინის დონეს, აძლიერებს სტრესის საკომპენსაციო მექანიზმს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

ქიქა ღვინო თირკმელს იცავს

თუ ადამიანი ყოველდღიურად ერთ ბოკალ ღვინოს მიირთმევს, თირკმლის დაავადების განვითარების რისკი ნაკლებია, — განაცხადეს კოლორადო-დენვერის უნივერსიტეტის მკვლევარებმა კველევებზე დაყრდნობით. ღვინის სასარგებლო თვისებები განპირობებულია მასში სპირტისა და ანტიოქსიდანტების შემცველობით. მთლიანობაში, ღვინოს შეუძლია გაზარდოს ლიპოპროტეინების („კარგი ქოლესტერინი“) დონე და ამით არტერიები დაიცვას დაზიანებისგან. ბოლო გამოკვლევისას სწავლულებს არ უცდიათ, ამ მხრივ განსხვავება ეპოვათ შავსა და თეთრ ღვინოს შორის. მთლიანობაშიც, თირკმელებზე ღვინის ზემოქმედების ზუსტი მექანიზმი ცნობილი არ არის.



საკვები პროდუქტი — დღეგრძელობის საწინდარი

მკვლევარებმა იმ პროდუქტის სია შეადგინეს, რომელთა მუდმივი მოხმარება ადამიანს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს, სილამაზესა და ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს. პირველ ადგილს ჩამონათვალში წითელი ღვინო იკავებს — მის შემადგენლობაში (ყურძენშიც) არსებული რესვერატოლი ის ელემენტია, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს დღეგრძელობის გენებზე. მთავარია, ღვინის მოხმარება ზომიერი იყოს, ეს კარგად აისახება დნმ-ზეც. მეორე ადგილი „დღეგრძელობის პროდუქტს“ შორის იოგურტს უკავია, რადგან არსებობს კავშირი ადამიანის იმუნურ და კუჭ-ნაწლავის სისტემას შორის. მესამე საფეხურზე კი სხვადასხვა კენკრაა, რომელთა მოხმარება გვიცავს ინფექციისა თუ ულტრაიისფერი რადიაციისგან. კენკრაში პოლიფენოლებია, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობასა და სილამაზეს იცავს. მათი რაოდენობით პირველობას მოცვი არ თმობს და ამ პროდუქტის ყოველდღიურ რაციონში ჩართვით თავს ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის გარანტიას ვაძლევთ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

2	6	1	3	9	5	8	7	4
9	8	3	1	7	4	2	6	5
4	7	5	6	2	8	3	1	9
8	4	7	5	3	2	1	9	6
6	5	2	9	1	7	4	3	8
3	1	9	4	8	6	7	5	2
1	3	4	2	6	9	5	8	7
5	9	8	7	4	3	6	2	1
7	2	6	8	5	1	9	4	3

სტანდარტი

2	8	9	1	7	6	5	4	3
7	5	4	9	3	2	1	8	6
3	1	6	8	5	4	9	2	7
8	6	5	7	2	3	4	1	9
4	9	3	5	6	1	2	7	8
1	2	7	4	9	8	3	6	5
6	3	8	2	4	9	7	5	1
9	7	2	6	1	5	8	3	4
5	4	1	3	8	7	6	9	2

რთული

1	9	5	7	4	8	6	3	2
8	4	3	6	5	2	1	9	7
7	2	6	3	1	9	5	4	8
6	1	2	9	3	7	4	8	5
5	7	4	1	8	6	3	2	9
3	8	9	5	2	4	7	1	6
4	6	1	2	9	5	8	7	3
2	5	8	4	7	3	9	6	1
9	3	7	8	6	1	2	5	4

ექსპერტი

8	7	1	6	5	9	4	3	2
6	4	5	3	1	2	9	8	7
3	9	2	8	7	4	6	5	1
7	8	6	9	4	1	5	2	3
5	3	4	2	6	8	7	1	9
2	1	9	5	3	7	8	6	4
4	6	3	7	2	5	1	9	8
1	5	8	4	9	3	2	7	6
9	2	7	1	8	6	3	4	5

მე-12 გვერდი: 1. კირხე; 2. კოროზია; 3. როსტევანი; 4. ეპოსი; 5. ჩხეიძე; 6. ხერხემალი; 7. ინსტინქტი; 8. არისტო; 9. „ლაშარელა“; 10. რაბატი; 11. პრესტო; 12. ტავოტი; 13. სიო; 14. ბოთე; 15. სიტე; 16. იზლერი; 17. აბაშა; 18. ლუი; 19. იავა; 20. ომანი; 21. ამაგი; 22. ანა; 23. ლოქვა; 24. ტოლი; 25. ინრო; 26. კლიპი; 27. იტილი; 28. მარიტა; 29. ინოვაცია; 30. ავინიონი; 31. ტანინი; 32. პროფილი; 33. ლეიდენი; 34. იფიგენია; 35. ლომბროზო; 36. თმა; 37. ანტონიონი; 38. არონია; 39. აზანი; 40. გოლი; 41. ფარვანა; 42. სინი; 43. ბზიფი; 44. სხალთა; 45. ორიონი; 46. ეოსი; 47. გუნო; 48. ნოვიხი; 49. გნოლი; 50. ბრა; 51. „ლაციო“; 52. ანიონი; 53. არკა; 54. ეირე; 55. იგრეკი; 56. ბინომი; 57. უაილდი; 58. ლოა; 59. ნკონო; 60. ილიონი; 61. უზი; 62. ფითრი; 63. იანი; 64. ბრუკლინი; 65. აკიდო; 66. ფალკაო; 67. დიახ; 68. კარგო; 69. ფატა; 70. ტუხტი; 71. იგრიკა; 72. ეჩო; 73. ონო; 74. კიო; 75. ნაირა; 76. იბნ; 77. იონი; 78. თახვი; 79. ხაიში; 80. მოდა; 81. ბონდი; 82. კეა; 83. ივან; 84. იო; 85. დიკა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲐ



1. ჩიტის ნაშიერი
2. ტყის მსხალი
3.აპოლონის ტაძრის ქურუმი ქალი
4. პასივის ანტონიმი
5. ძლიერი, თავსხმა წვიმა
6.„ვეფხისტყაოსნის“ უნგრ. ილუსტრატორი
7.სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტი
8. „ლაკოონის“ სკულპტურის ავტორი
9. ლიბანის ისტორიული პროვინცია
10.ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაება
11.მაროკოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი
12.განაყოფიერებული კვერცხუჯრედი
13. პოპულარული სალათი
14. ტიბეტური ხარი
15. სპორტული ფეხსაცმელების მწარმოებელი ცნობილი ჩეხური ფირმა
16.„შაქრის“ დაბა ქარელის რაიონში
17.ამერიკელი მომღერალი ... ფრანკლინი
18. ძველი ბერძენი
19. წიწვოვანი მცენარის წვენი
20. ექსპრომტად შეთხზ. სახუმარო ლექსი
21. ალ. მაკედონელის კარის მხატვარი
22. იესო ქრისტეს „ნათლია“
23.სოფელი და მყინვარები თუშეთში
24. დიდი ფრანგი ქიმიკოსი
25. სახურავი მასალა
26. პოეზიის ჟანრი
27. მატარებლის შემადგენელი ნაწილი
28. ტიბეტის უმაღლესი მმართველი და ეკლესიის მეთაური
29. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
30.საკონდ. ფსკნილი
31.მოლდავ. ხალხ. სიმღერა
32. ვულკანური გავარვარებული მასა
33. ყირგიზეთის ისტორიული ქალაქი
34. ბანქოს ფიგურა
35. აკაკის „გამზრდელის“ მთავარი პერსონაჟი
36. ჩრდილოეთის ცივი ქარი იტალიაში
37. ძველებური საწერი მასალა
38. ყურის დაავადებათა ექიმი
39. სასტუმროს მსახური ბიჭი
40.ძვირფას ქვაზე ჩაღრმავ. ამოკვ. გამოსახულება
41. ადამიანის-მსგავსი მაიმუნი
42. მდინარე პარიზში
43. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
44. წერილობითი თხოვნა, საჩივარი
45. სპილბერგის უცხოპლანეტელი
46. ფრანგი ფეხბურთელი ... ანრი
47. მთიანი მხარე რუსეთში
48. სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტი
49.ანტილოპას სახეობა
50.ესპანელი ფეხბურთელი
51. საფრანგეთის გვიანას დედაქალაქი
52.იგივეა, რაც მინანქარი
53. იაპონეს აღმნიშვნელი სიტყვა იუდაიზმში
54. ქალაქი იტალიაში
55.რამდენიმე განყოფილების მქონე სკივრი
56.თბილისის არაბი მმართველის ტიტული
57. მწერალი ... ჰემინგუეი
58. სიკო დოლიძის ფილმი
59. წყალი - ლათინურად
60.რობერტ ბარძიმაშვილის პირველი ანსამბლი
61. ქართული საბავშვო ფილმი
62. ექსკურსია-მძღოლი
63. ბრინჯაოს სახელწოდება ძველქართულში
64. იგივეა, რაც ფირნიში
65.ინდოეთში გადახვეწილი რუსი მხატვარი
66. სოფელი გორის რაიონში
67.ადგილი, სადაც პორეულს მანქანით ლეწავენ
68.„წყლის სანიტრად“ წოდებული მოლუსკი
69. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
70.სვეტებიანი გალერეა
71.დიდი კბილი
72. გარდაცვლილის სული ჩინურ მითოლოგიაში
73. სახოტბო ლექსი
74. წყლის მრავალწლოვანი მცენარე, მეტსახელად „წყლის ჭირი“
75. დაბალი და გამხდარი ტანის კაცი
76. ქალაქი იტალიაში
77. ინგლისელი მსახიობი ჯუდ ...
78. მიწის თხილი
79.ქვევრ. ღვინის ამოსაღები გრძელტარიანი ჭურჭელი
80. აფრიკული შხამიანი ბუზი
81. სანთლის მსგავსი ნივთიერება
82. იუდაიზმის ატრიბუტი, შვიდსანთელა
83.ლიბიის დედაქალაქის ძველი სახელწოდება
84.არზაყანის ცხენი, რომელიც თარაშ ემხვარ-თან ერთად დაიხრჩო „მთვარის მოტაცებაში“

ყველაზე ძვირფასი საცობი

იტალიის ქალაქ ვიჩენცაში შექმნეს ღვინის ბოთლის საცობი, რომელიც ყველაზე ძვირფასია მსოფლიოში და მისი ღირებულება 40 ათასი ევროა. კომპანიამ Labrenta, რომელიც ბოთლის საცობს უკვე 40 წელზე მეტია აწარმოებს და Peroni & Parise-ის იუველირებმა სახურავი ოქროსგან დაამზადეს, რომელიც 569 ბრილიანტითაა შემკული, 250-გრამიანი საცობი 7,30 კარატს იწონის და სპეციალურად საყვარელი ღვინის ბოთლებისთვისაა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ გადაწყვიტა, ელიტური საცობის ნაკლებბიუჯეტიანი ვარიანტიც გამოუშვას, რომელიც ვერცხლითა და ალმასებით დამზადდება. არადა, ბოლო პერიოდში აპენინებზე ღვინის მოხმარების შემცირების ტენდენცია შეინიშნება — შრაშან იტალიელებმა მხოლოდ 22 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინო დალიეს, რაც ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.